საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეგუნი სიფიცვაა, ფაფიოებით და ჭიანებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 15 მაისი. 2024 წ. №57 (9737) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ქართული სულით – ევროპაში!

84 მომხრე, 30 წინააღმდეგი – საქართველოს პარლამენტმა გუშინ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი მესამე მოსმენით მიიღო.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ უკვე მეორედ ინიციირებული კანონპროექტი „გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით“, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად ისეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და მედიასაშუალებების რეგისტრაციას ითვალისწინებს, რომელთა შემოსავლის გარკვეული მოცულობა – 20%-ზე მეტი – უცხოეთიდან არის მიღებული.

პროექტის მიხედვით, ყველა, ვინც „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ მოიაზრება, საჯარო რეესტრში სავალდებულო წესით ამავე სახელწოდების გაზაში უნდა დარეგისტრირდეს. რეგისტრაციის დროს აუცილებელი იქნება მიღებული შემოსავლების ასახვა. ამავდროულად, ორგანიზაციებს საფინანსო დეკლარაციის ყოველწლიურად შევსების ვალდებულება ექნებათ.

ოთარ ფაცაცია



5

ერის ღირსების დამცველი!

პრემიერ-მინისტრი ჯიმ ობრაიენს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს, ჯიმ ო'ბრაიენს შეხვდა.

გაიმართა ხანგრძლივი შეხვედრა, სადაც შედგა გულწრფელი საუბარი ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ყველა საკითხზე, მათ შორის საქართველოში გასული რამდენიმე წლის განმავლობაში განვითარებულ პროცესებზე. მთავრობის მეთაურმა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ამ პროცესებთან დაკავშირებით ერთმანეთს თავიანთი წუხილები გაუზიარეს.

ირაკლი კობახიძემ ჯიმ ო'ბრაიენს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების საჭიროებაც განუმარტა და კიდევ ერთხელ გამოთქვა მმართველი გუნდის მზაობა, ვეტოს პროცედურის ფარგლებში საერთაშორისო პარტნიორების ყველა სამართლებრივი შენიშვნა ყურადღებით განიხილოს.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება დაინტერესებულია აშშ-სთან პარტნიორობის გაღრმავებით, რაც ორმხრივ ძალისხმევას და სამართლიან ურთიერთდამოკიდებულებას მოითხოვს.

ნუ აპარპაშებთ ზნედაცემულ ალქაჯებს!

უკვე გაზაფხული იწურება, მაგრამ ჩვენი ბედკრული ოპოზიცია ქალიან-კაციანად(!) ისევ ამძუვნებულია და, სტუდენტ ახალგაზრდობაზე „ტრიპერივით“ აკიდებული, როგორც ნაცურ-ფაშისტური ტრადიციების ერთგული, კვლავაც მუსკულებზე იყურება.

ჯერ იყო და ერთწევრიანი პარტიის ლიდერმა, ანუ ერთი პირის საწარმოს „ნაჩალნიკმა“ ალეკო ელისაშვილმა განახორციელა ვირთხულ-მიპარვითი იერიში მამუკა მდინარაძეზე, ხოლო გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, სადაც მესამე მოსმენით გამჭვირვალობის შესახებ კანონი განიხილებოდა, თხა თხაზე ნაკლებიო და, საქმეში უკვე ბევრ მამრზე უფრო „დავაუკაცებული“ ქალაბიჭა მდედრი თინა ბოკუჩავა ჩაერია, რომელმაც მარიამ ლაშხს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა – სახეში თხლიშა!

ან ვინ აღზარდა, ან ვის ოჯახებს აუბედურებენ ასეთი „დიასახლისები“?

ვეკითხებით უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელებს – როდემდე უნდა აბოგინოთ ჭაობად ქცეულ ბინძურ ქართულ პოლიტიკაში ქალის სახედაკარგული ვაიდეპუტატები – სამადაშვილი, ნაცვლიშვილი, დეკანოიძე, ბოკუჩავა, კორძაია და დანი (თუ ძმანი?) მათნი? პირდაპირი ტელერეპორტაჟები მაინც აკრძალეთ, ჯოჯოხეთის მაშხალათა უკიდეგანო აგრესიულობისგან რომ დაისვენოს საზოგადოებამ, მეტადრე – მომავალმა თაობამ.

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ 14 ᲛᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲝᲜᲔ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲓᲐ

14 ᲛᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲨᲕᲔᲑᲐ ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲘ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲤᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐ.

ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲖᲝᲛᲔᲑᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ წᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ 2023 ᲬᲚᲘᲡ 04 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ №1/259/23 ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ.

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ:

ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲕᲪᲔᲛᲗ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ, ᲫᲘᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲗᲮᲐᲠᲝᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ!

ᲓᲘᲐᲮ, არავის მიეცემა საშუალება ძირი გამოუთხაროს საზოგადოების უსაფრთხოებას, საკუთარ ქვეყანას, თავს დაესხას ინსტიტუტებს, პოლიციელებს,- ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ არჩილ თალაკვაძემ „დღის ქრონიკაში“ განაცხადა.

მისივე თქმით, რადიკალური ოპოზიცია ცდილობს მოქალაქეების ემოციები სათავისოდ, ხელისუფლებაში დასაბრუნებლად გამოიყენოს.

„ჩვენ პატივს ვცემთ თითოეულ ჩვენს თანამოქალაქეს, ვისაც აქვს გულწრფელი კითხვები ან კრიტიკულ პოზიციას გამოხატავს და ყველაფერს ვაკეთებთ და გავაკეთებთ მომავალშიც, რომ გამოხატვის მანიფესტაციის, შეკრების უფლება მშვიდობიან ფარგლებში, როგორც ეს კანონით და ევროსტანდარტებით არის დადგენილი, იყოს დაცული. თუმცა აქვე მინდა ვთქვა, რომ არავის მიეცემა საშუალება ძირი გამოუთხაროს საზოგადოების უსაფრთხოებას, საკუთარ ქვეყანას, თავს დაესხას ინსტიტუტებს, პოლიციელებს. აქ ძალიან მკაფიო ზღვარია გავლებული და მომავალშიც ასე იქნება“,- განაცხადა თალაკვაძემ.

მანვე ისაუბრა ოპოზიციის ლიდერების გეგმებზეც.

„გამჭვირვალობა ვერ იქნება ანტიევროპული. ვხედავთ, რომ რადიკალური ოპოზიცია, რომელიც იყო ადრე ხელისუფლებაში, ცდილობს და ელოდება, რომ როგორმე ახალგაზრდების პროტესტი, მოქალაქეების ემოციები გამოიყენოს იმისთვის, რომ არჩევნების გვერდის ავლით სცადოს ხელისუფლებაში დაბრუნება. ეს ყველაფერი სწორედ ამიტომ ხდება, რადიკალური ჯგუფები, რომლებსაც გარეთაც ჰყავთ ლობისტები და ეხმარებიან რესურსებით, განცხადებებით, ცდილობენ საზოგადოების ემოციები გამოიყენონ და როგორმე დაბრუნდნენ ხელისუფლებაში ძალადობრივი გზით, დესტაბილიზაციით. იმიტომ, რომ მათ არა აქვთ დემოკრატიულ არჩევნებში მოგების, შედეგის იმედი. ჩათვალეთ, რომ ამაზე მუშაობენ ისინი დღე და ღამე. მათი მართული მედიებით, ექსპერტებით და იმ რესურსებით, რომელიც ჩართულია“, – აღნიშნა თალაკვაძემ.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲐ

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲞᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲒᲐᲡᲪᲓᲐ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲥᲐᲚᲐᲓᲝᲒᲠᲘᲕᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ.

„აქციის მონაწილეებმა დააზიანეს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული დამცავი ჯებირი. სამართალდამცველების არაერთი მოწოდების მიუხედავად, აქციის მონაწილეები არ ემორჩილებიან პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტრომ კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური საშუალებები გამოიყენა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ მოუწოდებს აქციის ყველა მონაწილეს, დაემორჩილონ პოლიციის კანონიერ მითითებებს, არ დაუშვან ვითარების ხელოვნურად ესკალაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში სამართალდამცველები გამოიყენებენ კანონით დადგენილ სპეციალურ საშუალებებს“, აღნიშნულია განცხადებაში.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲐᲪᲐᲠᲐᲕᲐᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲣᲡᲬᲝᲠᲓᲜᲔᲚ!

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲐᲪᲐᲠᲐᲕᲐ საოპერაციოშია – პოლიციელების მიერ განხორციელებული ძალადობის შედეგად, მას დამტვრეული აქვს სახის ძვლები და ცხვირი. ქაცარავა ინგოროყვას სახელობის კლინიკაშია მოთავსებული.

როგორც მისი ცოლი ამბობს, ანტისაოკუპაციო მოძრაობის დამფუძნებელს ერთდროულად ბევრი სპეცრაზმელი სცემდა და დაზიანებები განსაკუთრებით სწორედ თავისა და სახის არეში აქვს მიყენებული:

ქაცარავას პირველი სკოლის წინ პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის გამო გდდ-ის წარმომადგენლებმა სცემეს.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, 2024 წლის 14 მაისს, სამართალდამცავების მხრიდან დავით ქაცარავას მიმართ სამსახურეობრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით გამოძიება დაიწყო.

ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲡ ᲒᲐᲛᲩᲔᲜᲘ ᲐᲠ ᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲡ...

ᲒᲣᲨᲘᲜ პარლამენტთან მიმდინარე აქციის დროს სამართალდამცველებმა რამდენიმე პირი დააკავეს. დაკავებულთა შორისაა აქტივისტი ლაზარე გრიგორიადისი, რომელიც პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით ერთხელ უკვე გაასამართლეს და საპატიმრო პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე რამდენიმე დღის წინ დატოვა.

* * *

გმირთა მოედანზე გვიან საღამოს ვითარება დაძაბული იყო. ადგილზე "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტის მოწინააღმდეგეები აქციას მართავდნენ და გზის გადაკეტვას ცდილობდნენ, პოლიციამ კი მათ ამის საშუალება არ მისცა. იყო ფიზიკური შეხლა-შემოხლა დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის, რასაც დაკავებები მოჰყვა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემია მიენიჭათ:

1. ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის პრემია – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორებს **ნანა შათაშვილსა** და **ვაჟა ბერეჟიანს** ნაშრომისათვის **„ელექტრომაგნიტური ტალღისა და ელექტრონული ბგერის არაწრფივი ბმა მრავალკომპონენტიან გადაგვარებულ ასტროფიზიკურ პლაზმაში“.**

2. გიორგი ჭოღოშვილის სახელობის პრემია - აკადემიკოს **ხვედრი ინასარიძეს** ნაშრომისათვის **„Г-ჯგუფების (Co)ჰომოლოგია და Г-ჰომოლოგიური ალგებრა“.**

3. გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია – აკადემიკოს **თამაზ ნაცრიაშვილს,** მეცნიერებათა დოქტორ **რევაზ ქავთარაძეს,** აკადემიურ დოქტორებს: **გიორგი ჯილაშვილსა და მერაბ ღლონტს** შრომათა ციკლისათვის **„წყალბადის ძრავას ეკოლოგიური მახასიათებლების პროგნოზირება და გაუმჯობესება 3D მათემატიკური მოდელების გამოყენებით“.**

4. ივერი ფრანგიშვილის სახელობის პრემია - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ **მერაბ ახობაძეს** მონოგრაფიისათვის **„მაკროსისტემების მათემატიკური მოდელირების საკითხები ენტროპიის მაქსიმიზაციის პრინციპის საფუძველზე“.**

5. ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია – უფროს მეცნიერ თანამშრომელს **ზაზა ლეჟავას,** მთავარ მეცნიერ თანამშრომელს **კუკური წიქარიშვილს,** უფროს მეცნიერ თანამშრომელს **ლაშა ასანიძეს** ნაშრომისათვის **„საქართველოს ბაქნური კარსტი“.**

6. ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის პრემია – გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ **თამარ წუწუნავას,** გეოლოგიის აკადემიურ დოქტორებს **გიორგი ბერიძესა** და **ირაკლი ჯავახიშვილს** შრომათა ციკლისათვის **„კავკასიონის კრისტალინიკუმის მეტამორფიზმისა და მაგმატიზმის პრობლემები“.**

7. ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის პრემია – ქიმიის მეცნიერებათა დოქტორებს **გიორგი წინწკალაძესა და თეიმურაზ კორძახიას** შრომათა ციკლისათვის - **„საქართველოს ზოგიერთი ბუნებრივი ნედლეულის გამოყენების შესაძლებლობა“.**

8. იოველ ქუთათელაძის სახელობის პრემია – მთავარ მეცნიერ თანაშრომელს **მაია მერლანს,** მეცნიერ თანამშრომელს **ვახტანგ ბარბაქაძეს,** უფროს მეცნიერ თანამშრომლებს **ლალი გოგილაშვილსა და ლელა ამირანაშვილს** შრომათა ციკლისათვის - **„მცენარეული ბიოპოლიმერების სინთეზური ანალოგიების მიღება და მათი შედარებითი ბიოლოგიური აქტივობა“.**

9. ლეო დავითაშვილის სახელობის პრემია – გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორ **ირინა შატილოვას,** გეოლოგიის დოქტორ **ირმა კოკოლაშვილს,** ბიოლოგიის დოქტორ **მაია ბუხსიანიძეს,** გეოლოგია-მინერალოგიის დოქტორ **კახაბერ ძოიავას,** გეოლოგიის დოქტორ **ლამარა მაისურაძეს** (გარდაცვალების შემდეგ), გერმანელ მეცნიერ **ანგელა ბრუხს** წიგნისათვის **„გვიანკაინოზოური ბიომოვლენები საქართველოს ტერიტორიაზე ფორამინიფერების და პალინოლოგიური მონაცემების საფუძველზე“.**

10. სერგი დურმიშიძის სახელობის პრემია – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ **ვლადიმერ ელისაშვილს,** ბიოლ. მეცნ. აკად. დოქტორებს **ევა ქაჩლიშვილს, მიხეილ ასათიანს, ეკა მეტრეველს, თამარ ხარძიანს, აზა კოგახიძეს, ვიოლეტა გერიკაშვილს** შრომათა ციკლისათვის **„ბაზიდიომიცეტების ფიზიოლოგია და ბიოქიმია“.**

11. ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემია - აკადემიკოს **თემურ ნანეიშვილს,** ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებს **მანანა დაშნიანს, მზია ჟვანიასა** და ბიოლოგიის აკადემიურ დოქტორ **მაია გურჯანაძეს** კვლევათა ციკლისათვის **„მეხსიერების ნეირობიოლოგიური მექანიზმები ნორმასა და პათოლოგიაში: სისტემური, სტრუქტურული და მოლეკულური ასპექტები“.**

12. გრიგოლ მუხაძის სახელობის პრემია – მედიცინის აკადემიურ დოქტორ **ზვიად გახუტაშვილს** შრომათა ციკლისათვის **„გულის შეძენილი პათოლოგიების ქირურგიული მკურნალობა“.**

13. გიორგი გიგაურის სახელობის პრემია - აკადემიკოს **ვანო პაპუნიძეს** შრომათა ციკლისათვის **„სატყეო სწრაფმოზარდი მერქნიანი სახეობების სანერგეების შექმნა“.**

14. ნიკოლოზ ხომიზურაშვილის სახელობის პრემია – ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორ **მარიამ ხომასურიძეს** სახელმძღვანელოსათვის **„ღვინის ზადი და ნაკლი“.**

15. ნიკოლოზ ბერძენიშვილის სახელობის პრემია – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ **გიორგი კალანდიას** ნაშრომისათვის **„ქართველები მსოფლიო ისტორიაში“.**

16. მიხეილ მუსხელიშვილის სახელობის პრემია – პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორ **ზურაბ აბაშიძეს** წიგნისათვის **„ცივი ომი: მოგზაურობა დღევანდელ წარსულში“.**

17. კორნელი კეკელიძის სახელობის პრემია – აკადემიკოს **ელგუჯა ხინთიბიძეს** წიგნებისათვის: 1. **„წყاروოთმცოდნეობითი ძიებანი“; 2. „შუა საუკუნეების ქართული რომანი „ვეფხისტყაოსანი“ და შექსპირის ბოლო პერიოდის პიესები“.**

18. სერგი ჯიქიას სახელობის პრემია – პროფესორ **ნოდარ შენგელიას** მონოგრაფიათა ციკლისათვის **„ოსმალური დავთრები საქართველოს შესახებ“.**

საქართველო და ევროკავშირი

თსუ-ში ევროკავშირის დღეების ფარგლებში საჯარო დისკუსიათა კვირეული გაიხსნა

ღონისძიების გახსნას თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანი თამარ ზარანდია, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ირინე ქურდაძე, სტუდენტები ესწრებოდნენ.

„ევროკავშირში გაერთიანება არის ჩვენი სახელმწიფოს საგარეო კურსი, უალტერნატივო კურსი, რომელიც კონსტიტუციით არის დეკლარირებული. ამ მიმართულებით საქართველომ წარმატებული ნაბიჯები უნდა გადადგას. ვფიქრობ, სტუდენტების მხრიდან აკადემიური აქტივობა ამ თემის გარშემო ძალიან მნიშვნელოვანია,“ – განაცხადა თამარ ზარანდიამ.

ევროკავშირის დღეების ფარგლებში პირველი საჯარო დისკუსია – „ევროკავშირი დღეს – ინსტიტუციური და სამართლებრივი ბუნება“ თსუ მოწვეულმა ლექტორმა ნინო გახარიამ გამართა.

13 მაისიდან 19 მაისის ჩათვლით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის დარგის ექსპერტები, თსუ-ს აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები და სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლები გაუძღვებიან საჯარო დისკუსიებსა და განხილვებს ევროკავშირის ორგანიზაციული მოწყობისა და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების შესახებ.

ღონისძიება საქართველოს საერთაშორისო სამართლის სტუდენტთა ასოციაციისა (ILSA საქართველო) და თსუ საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ორგანიზებით იმართება.

ივლიანე ხაინდრავამ თანამდებობა დატოვა

ივლიანე ხაინდრავამ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, **თეა ახვლედიანის** მრჩევლის თანამდებობა დატოვა. ამის შესახებ ინფორმაცია „აიპრესს“ მთავრობის ადმინისტრაციაში დაუდასტურეს.

ადმინისტრაციის ცნობით, ივლიანე ხაინდრავამ თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა.

ივლიანე ხაინდრავა 2014 წლიდან საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო.

ასევე, საქართველოს პარლამენტის მე-2 მოწვევის და მე-6 მოწვევის დეპუტატი იყო.

საქართველოს 38 უნივერსიტეტის ერთობლივი განცხადება

მიუღებელია, რომ აკადემიური პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენელი უარს აცხადებს საკუთარი მოვალეობის შესრულებაზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციით, საქართველოს უნივერსიტეტები, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რექტორების მუდმივმოქმედი კონფერენციის წევრები ეხმიანებიან ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, რომლებმაც ასახვა ჰპოვა უნივერსიტეტებში სასწავლო პროცესის წარმართვაზე.

მათი განცხადებით, ნებისმიერი პოლიტიკური პროცესი აკადემიური სივრცის მიღმა უნდა დარჩეს.

„ჩვენი ევროპული მომავლის ფუნდამენტური საფუძველია, თავისუფალ და არადისკრიმინაციულ გარემოში ახალგაზრდების განათლება. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პროცესი აკადემიური სივრცის მიღმა უნდა დარჩეს. შესაბამისად, ის არ უნდა აისახოს უნივერსიტეტების ფუნქციონირებასა და სწავლა-სწავლების წარმართვაზე. არ უნდა მოხდეს სტუდენტთა ინტერესებისა და სასწავლო პროცესის დაზიანება. ხაზს ვუსვამთ, რომ ჩვენთვის ფუნდამენტურად ღირებულია გამოხატვის თავისუფლების გარანტირება.

მიუღებელია, რომ აკადემიური პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენელი უარს აცხადებს საკუთარი მოვალეობის შესრულებაზე. ამით ხელი ეშლება სასწავლო პროცესის წარმართვას. ეს არღვევს სტუდენტის კონსტიტუციურ უფლებას. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად განვითარებული მოვლენებისა, უნივერსიტეტებში სასწავლო პროცესი გრძელდება. ამასთან, აკადემიური პერსონალის ლექციებზე გამოუცხადებლობა წარმოადგენს არა მხოლოდ მათთვის კანონმდებლობითა და უნივერსიტეტებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების დარღვევას, არამედ უშუალოდ აზარალებს იმ სტუდენტთა ინტერესებს, რომლებიც დღეს ესწრებიან სალექციო კურსებს. ლექტორთა მიერ სასწავლო პროცესის შეფერხება, ხელს უშლის უმაღლესი განათლების მიზნების რეალიზებას და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ეს ყველაფერი კი უარყოფითად აისახება ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული და ევროპული სტანდარტების შესრულებაზე.

თითოეული უნივერსიტეტის, მისი პროფესორ-მასწავლებლების ვალდებულებაა, უზრუნველყოს სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის უწყვეტად წარმართვა და საუნივერსიტეტო სივრცეებში პოლიტიკისგან თავისუფალი, ჯანსაღი და აკადემიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

თუკი ჩვენი განზრახვაა უკეთესი საქართველო, ამის მიღწევის ერთადერთი და საუკეთესო საშუალებაა ხარისხიანი განათლების მიღება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენთვის მიუღებელია უნივერსიტეტების სახელით გარკვეული ჯგუფების მიერ პოლიტიკური განცხადებების გაკეთება.

თითოეული ჩვენგანის ვალია, ერთად უზრუნველვყოთ ჩვენი სტუდენტებისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო, რაც დღეს საქართველოს ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“!

განცხადებას ხელს აწერენ:

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი – სეუ, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი,საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი, ევროპის უნივერსიტეტი, ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისის თავისუფალი აკადემია, სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუნი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი.

სიტყვა — საქმიანი

კალოუბნის ქუჩაზე კორპუსის მშენებლობა დასრულდა

დედაქალაქის მერი კახა კალაძე მის მოადგილესთან ირაკლი ბენდელიანთან ერთად სამგორის რაიონში, კალოუბნის ქუჩაზე, ავარიული სახლის ჩანაცვლების მიმდინარე პროექტს გაეცნო.

აღნიშნულ მისამართზე 4-სართულიანი, ავარიული შენობის ნაცვლად, 10-სართულიანი საცხოვრებელი სახლისა და მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობა უკვე დასრულებულია.

„აქ 36 ოჯახი ცხოვრობდა. შედგა მათთან მოლაპარაკება. დროებით გავიყვანეთ ქირით და ხარჯებს მთლიანად მუნიციპალიტეტი ფარავს. რაც შეეხება პროექტს, კორპუსის მშენებლობა დასრულებულია. ამჟამად, მოპირკეთების სამუშაოები მიმდინარეობს. უახლოეს პერიოდში შიდა სარემონტო სამუშაოებს დავიწყებთ. ოქტომბერში კი, ეს 36 ოჯახი შეძლებს, მოწესრიგებულ და გარემონტებულ სახლებში იცხოვროს. ძალიან მიხარია, რომ აღნიშნული პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს. სამწუხაროდ, ქალაქში ბევრი ავარიული შენობა-ნაგებობა გვაქვს. ჩვენი სურვილია, რაც შეიძლება ბევრი ასეთი შენობა ჩანაცვლდეს ახალი ნაგებობით. მზად ვართ, ყველა დაინტერესებულ პირს ხელი შევუწყოთ და რაც შეიძლება მეტი პროექტი განვახორციელოთ“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ახალი საცხოვრებელი კორპუსი 90-ბინიანია. მათგან 36 ერთეული გარემონტებული გადაეცემათ მესაკუთრეებს, ხოლო 54 ერთეული ბინა, თეთრი კარკასის კონდიციაში და 7 ერთეული ავტოსადგომი გათვალისწინებულია მიმწოდებლისთვის სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ნატურით ანგარიშსწორების მიზნით.

მოხალისეთა პირველი ნაკადი გომბორის მოსამზადებელ ცენტრში

ა(ა)იპ „ახალგაზრდობა და ვეტერანები ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოებისათვის“ ძალისხმევით,ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის, თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს გენერალთა კლუბის მხარდაჭერით, გომბორის მოსამზადებელ ცენტრში, 11 მაისს, მოხალისეთა პირველი ნაკადის შეკრება შედგა.

შეკრებამ,რომელიც რეკრუტირების კამპანიის ფარგლებში ჩატარდა, მთელი ქვეყნის მასშტაბით,100-მდე მოხალისე გააერთიანა, რომელთა უმეტეს ნაწილს, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანები წარმოადგენენ. მათ შორის არიან ახალგაზრდებიც. ამ ნაკადის მოსამზადებელი სემინარები და წვრთნები 9 დღეს გასტანს.

როგორც მოხალისეთა ორგანიზაციის დირექტორი მალხაზ ქარაზანიშვილი და დირექტორის მოადგილე, გენერალი გიორგი სურმავა აცხადებენ, დღეს, როცა ჩვენს ქვეყანას, მისი გეოსტრატეგიული მდებარეობა და ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფები არა ერთი გამოწვევის წინაშე აყენებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ქვეყნისათვის ბრძოლაში გამოცდილ ვეტერანებთან ერთად, ახალგაზრდა თაობის ჩართულობა ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემაში. გულანთებულმა ახალგაზრდებმა, საზოგადოებას არა ერთხელ აჩვენეს ქვეყნისთვის ერთიანობის, გამოწვევების ერთიანი ძალებით დაძლევის მაგალითი. თუმცა, მათი შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვა, მათი პოტენციალის ერთიან, ცენტრალიზებულ სისტემაში, ქვეყნის წინაშე ღვაწლმოსილ ვეტერანებთან ერთად ჩართვა არსებითად მნიშვნელოვანია.

შეგახსენებთ, რომ „ტოტალური თავდაცვის" კონცეფციაში ერთ-ერთი უმთავრესი ძალისხმევის ხაზია „თავდაცვის ძალების სამოქალაქო მხარდაჭერა" და, მათ შორის, მოხალისეების მონაწილეობა ქვეყნის თავდაცვასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

მოხალისეთა მეორე ნაკადის შეკრებისთვის, რომელიც ივნისში დაგეგმილი, მოსამზადებელი სამუშაოები მაისის მესამე დეკადაში განახლდება.

ყველგან და ყველაფერში ერის ღირსების დამცველი!

ოთარ ფაცაცია – გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე



კოლხეთი ისტორიულად ცნობილი იყო თავისი კოლორიტული პიროვნებებით, რომლებიც ცხოვრების სამაგალითო წესით, საქმიანობით, სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულით გამოირჩეოდნენ.

ჩვენდა სამედნიეროდ, ბევრ მათგანთან ერთად გვიცხოვრია, გვიშრომია, კეთილი საქმეები გვიკეთებია. ისინი იყვნენ ჩვენი უფროსი და უმცროსი მეგობრები, ვისთანაც ურთიერთობა დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა. მათი ამ ქვეყნიდან წასვლამ გული გვატკინა, თუმცაღა დღემდე გვახსოვს ისინი და გვემახსოვრება სიცოცხლის ბოლომდე.

წინამდებარე გახსენება ეძღვნება სასიქადულო მამულიშვილს, ჩვენი ქვეყნის საინჟინრო ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელს, პარტიული და სამეურნეო საქმიანობით გამორჩეულ პიროვნებას, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, ლეგენდარულ ოთარ ფაცაციას, რომელსაც დაბადებიდან 95 წელი 15 მაისს შესრულდებოდა.

ბატონი ოთარი იმ ადამიანების კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელმაც ადრეულ ასაკში მიიქციეს საზოგადოების ყურადღება, სიცოცხლეშივე დაიმსახურა მეგობრების, ახლობლების, კოლეგების სიყვარული, თანადგომა და აღიარება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ოთარ ფაცაციას ფართო ერუდიცია, ადამიანებთან ურთიერთობის გამორჩეული უნარი. მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მომთხოვნელობა, შეხამებული სისპეტაკესთან, უბრალოებასთან, გულისხმიერებასა და პატივისცემასთან, კაცთმოყვარეობა, უანგარო თანადგომა და სიკეთის ქმნა იყო მისი ცხოვრების აზრი და კრედო. იგი ახალგაზრდობის წლებიდანვე აქტიურად ჩაება ქვეყნის აღმშენებლობასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. მან, როგორც პროფესიონალმა, ხელმძღვანელმა და სახელმწიფო მოღვაწემ, მუხლჩაუხრელი შრომით ყველა განვლილ იერარქიულ საფეხურზე დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, როგორც ქვეყნის ხელმძღვანელებისგან, ისე რიგითი მოქალაქეებისგანაც.

ოთარ ფაცაცია დაიბადა 1929 წლის 15 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში. ბავშვობა და ყრმობის წლები თავის „ოდაბადეში“ გაატარა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ლენინგრადის ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, რომელიც ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობით წარჩინებით დაამთავრა. 1955 წელს მუშაობას იწყებს ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატში, სადაც ამ საწარმოს აქტივთან ერთ-ერთი შეხვედრისას გაიცნო ზუგდიდის პარტიის რაიკომის იმჟამინდელმა პირველმა მდივანმა აკაკი ქვარცხავამ, ახალგაზრდა კადრების შერჩევითა და დაწინაურებით ცნობილმა ხელმძღვანელმა. მან თავისთან გადაიყვანა სამუშაოდ ჯერ ინსტრუქტორად, ხოლო მოკლე დროში – მეორე მდივნად. შემდეგ იყო ზუგდიდის სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელი.

1965 წელს ბატონი ოთარი დაინიშნა ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის დირექტორად. სწორედ აქ გამოვლინდა მისი, როგორც ხელმძღვანელის, ორგანიზატორული ნიჭი. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ კომბინატის დირექტორად მისი დანიშვნისას საწარმოო დოტაციაზე იყო და ყოველწლიურად სახელმწიფოსგან 7 მილიონ მანეთს იღებდა, კომბინატიდან მისი წასვლისას კი მოგებამ 25 მილიონი ლარი შეადგინა.

როგორც ცნობილია, ქაღალდის წარმოებისთვის საჭირო ნედლეული ხე-ტყეა, რომელიც მზადდებოდა სვანეთში. ეს იწვევდა სვანეთის ტყის განადგურებას. დირექტორად მისი დანიშვნის დღიდანვე ინტენსიურად დაიწყო ოპტიმალური გზების ძიება პრობლემის გადასაწყვეტად. როცა უკვე მომზადდა ეკონომიკური და ტექნიკური დასაბუთება იმისა, რომ შესაძლებელი იყო რუსეთიდან ჩამოტანილი ნედლეულით ადგილობრივის ჩანაცვლება, მან მიმართა საქართველოს მთავრობას, რომლის აქტიური მხარდაჭერით შეძლო თავისი წინადადების რეალიზაცია. სვანეთში ხე-ტყის ჭრა შეწყდა.

ქაღალდის მრეწველობაში ცელულოზა ერთ-ერთი მავნებელი ნივთიერებაა, რომელიც აბინძურებს და უარყოფითად მოქმედებს ეკოლოგიაზე. ბატონი ოთარის ძალისხმევით პირველად საქართველოში „ენგურქაღალდკომბინატში“ დაინერგა დაბინძურებული სადენების მექანიკური, ქიმიური და ბიოლოგიური გაწმენდა, რითიც ჰაერის, მდინარე ენგურის და შავი ზღვის დაბინძურების პრობლემა მოიხსნა.

საწარმოს ეფექტიანი საქმიანობა მოითხოვდა სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას. სწორედ მისი კომბინატის დირექტორად მუშაობის პერიოდში აშენდა 2 საშუალო სკოლა, 2 საბავშვო ბაღი, ამოქმედდა სამედიცინო-სანიტარიული და დიაგნოსტიკური ცენტრი, საავადმყოფო 100 საწოლზე, კულტურის სასახლე (600 ადგილით), საცურაო-სპორტული კომპლექსი, სასტუმრო „ეგრისი“. ექსპლოატაციაში შევიდა მრავალი საცხოვრებელი ბინა და 300-ადგილიანი საერთო საცხოვრებელი. აგრეთვე ამოქმედდა „ერგეტის“ აგრარული სექტორი, სასათბურე მეურნეობა, მეცხოველეობის ფერმა, გაფართოვდა მაღაზიათა და საზოგადოებრივი კვების ქსელი, ანაკლიაში, შავი ზღვის სანაპიროზე მოქმედებდა კურორტი „თოლია“ 500 მოზარდზე, დასასვენებელი სახლი „იუჟნი“ – 300 ადამიანზე. კომბინატში ღამის ცვლაში მომუშავე მუშებისთვის ყველა საამქროში კვება იყო უფასო. საწარმოში მუშაობდა 300-ადგილიანი სასადილო შვედური მაგიდის პრინციპით.

ამ კომბინატის სახით საქართველოში შეიქმნა მეურნეობრიობის ისეთი ფორმა, რომელიც საწარმოო-ეკონომიკური ეფექტიანობისა და სოციალური პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტის თავისებურად ახალი მეთოდი გახლდათ. ამიტომაც ამგზდნენ კიდეც, ბატონმა ოთარმა ქალაქში ქალაქი ააშენაო.

1984 წელს „ენგურქაღალდკომბინატის“ ბაზაზე შეიქმნა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვი“, რომელშიც შედიოდა „ენგურქაღალდკომბინატი“ (სათაო), თბილისის ქაღალდის ფაბრიკა, დამხმარე მეურნეობა „ერგეტა“ და სამშენებლო სამმართველო „პროგრესი“. ბატონი ოთარის უშუალო ხელმძღვანელობითა და ინიციატივით საქართველოში გაიზარდა ქაღალდის საწარმოო სიმძლავრეები, დაინერგა მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები. საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობით მიდგომისა და მეურნის არაჩვეულებრივი ნიჭის წყალობით, გაერთიანება ერთ-ერთი მოწინავე გახდა ყოფილ საბჭოთა კავშირის ქაღალდის მრეწველობაში.

ძალიან დიდია ოთარის წვლილი არა მარტო ქართული ქაღალდის წარმოებისა და განვითარების საქმეში, არამედ საინჟინრო კადრების, მექაღალდეთა თაობების აღზრდის საქმეში. ლენინგრადის ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სწავლის მსურველი ახალგაზრდებისთვის მისაღები გამოცდები ტარდებოდა ადგილზე, კომბინატში, სანკტპეტერბურგიდან ჩამოსული კომისიის თვალწინ. ინსტიტუტში ჩარიცხულ სტუდენტებს, რა თქმა უნდა, საწარმოო უხდიდა სტიპენდიას.

ოთარ ფაცაციას გააჩნდა საწარმოო პროცესში მრავალათასიანი კოლექტივის ორგანიზების უნარი. იგი ფენომენალური ზნეობისა და მოქალაქეობრივი პრინციპების

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმინდესთან და უნეტარესთან ილია II-სთან ერთად

მქონე პიროვნება იყო, რომლის განვლილი ცხოვრების გზა, მაღალი პროფესიული ავტორიტეტი და საყოველთაო საზოგადოებრივი საქმიანობა ქვეყნისა და ხალხისთვის გაწეული დიდი ღვაწლის ჭეშმარიტი მაგალითია.

ადამიანებთან პირადი ურთიერთობა, თანადგომა, სიხარულისა და ჭირ-ვარამის გაზიარება ბატონი ოთარის ცხოვრების წესი იყო. მისი მოღვაწეობის პერიოდში ჰქონდა პრობლემები, სირთულეები, მაგრამ ყოველთვის სძლევდა მათ. ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში მას შეეძლო საკუთარი ღირსების დაცვა და წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. საკუთარ დამსახურებაზე ლაპარაკი არ უყვარდა, სხვისგან მოსმენილიც ეუხერხულებოდა, იგი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ყოველგვარი ხმაურის, პომპეზურობისა და რეკლამირების გარეშე აკეთებენ საქვეყნო საქმეს. მისმა მდიდარმა გამოცდილებამ, სიახლისადმი სწრაფვამ შესაძლებლობა მისცა მას საკუთარი ძალები მოესინჯა მეცნიერებაშიც. 1970 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ოთარი ფაცაციას პიროვნებაში ჰარმონიულად იყო შერწყმული გარეგნული მომხიბვლელობები, სულიერი სიფაქიზე და ტიტანური შრომითი შესაძლებლობა. „საქმეს არ ეღალატების“ იტყოდა იგი და თავდაუზოგავად და ერთგულად იღვწოდა ყველა იმ სფეროში, სადაც კი მუშაობა მოუწია. ჰქონდა თანამშრომელთა ორგანიზებისა და მათი ნდობის მოპოვების უნარი. მის პიროვნებას ამშვენებდა მეტყველების, ჩაცმის, სუფრის გაძღოლის მაღალი კულტურა. მისთვის უცხო იყო უხეშობა, ბილწსიტყვაობა. ოთარ ფაცაციას მოზომილი სიტყვა და ქართული სუფრის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისადმი ერთგულება არასდროს დაგვავიწყდება.

ძნელია, ისაუბრო ადამიანზე, რომელმაც უსაშველოდ მძიმე ტკივილი განიცადა. დროის მოკლე მონაკვეთში გარდაეცვალა ვაჟიშვილი, სიძე, მეუღლე, დედა, მაგრამ იგი სულით ძლიერი, მტკიცე და ჭირთამთმენი აღმოჩნდა. საყვედურის სიტყვაც არავისთან წასცდენია. მიუხედავად ტკივილისა და მწუხარებისა, თმადათოვლილი, სანთელივით ჩამოქნილი კაცის თვალებიდან სინათლე და სიკეთის სხივი გამოკრთოდა...

ბატონი ოთარის დაუღალავი შრომისა და აღიარებული ავტორიტეტის დასტურია ის წოდებები და ჯილდოები, რომლებიც მას დამსახურებულად აქვს მიღებული. ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი, ღირსების ორდენი, საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმინდა გიორგის ოქროს ორდენი. საბჭოთა პერიოდში დაჯილდოებული იყო უმაღლესი სახელმწიფოებრივი ჯილდოებით. იყო სსრკ კავშირის სახალხო დეპუტატი. საქართველოს მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი.

ხაზგასმით უნდა ვთქვათ, რომ 1992-95 წლებში ოთარ ფაცაცია იყო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე – პრემიერ-მინისტრი. სწორედ აქ გამოჩნდა მისი, როგორც დიდი ხელმძღვანელის მასშტაბური აზროვნება, ეროვნული სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის უნარი. მან დიდი როლი შეასრულა მაშინ დანგრეული ქვეყნის ეკონომიკის აღდგენაში.

ბოლო წლებში ის სათავეში ჩაუდგა საზოგადოება „ზუგდიდელს“ და ღირსეულად უძღვებოდა ამ საპატიო საქმეს.

ღმერთმა მოგვცა ძალა, მკაცრი ცხოვრების პირობებში სიკვდილს შევეგუოთ, მაგრამ მონატრება მარადიულია, მოგონებების უნარი უფლის საჩუქარია. ჯერ კიდევ სრულად ვერ ვაცნობიერებთ, რომ ბატონი ოთარი სამუდამოდ წავიდა ჩვენგან. იგი დააკლდა ქვეყანას, ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, კოლეგებს, საზოგადოებას.

ოთარ ფაცაციამ ნამუსიანად და სიკეთით განვლო წუთისოფელი და დაგვიტოვა ცხოვრების ლამაზი ფურცელი, რომელსაც მისი უკვდავი სახელი ჰქვია.

ჯუმბერ პატიაშვილი, ნოდარ ჭითანავა, როინ მეტრეველი, ავთანდილ ჯორბენაძე, ნაპოლეონ ქარქაშაძე, ვაჟა თორდია, ვახტანგ ყოლბაია, ნაპო მესხია, დემურ გადელია, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, კლიმენტ ჯანჯღავა, ალვერ იზორია, იგორ ქობალია, გურამ ფიფია, ოთარ და ლერი ჭითანავები, გოგი და დავით ფაცაციები, გრიგოლ ონიანი, მამუკა ადამია, დავით სარალიძე, სპარტაკ ქობულია, ჯამბულ წულაია, გიორგი გუგუჩია, ნინო ვიბლიანი, ნონა ნადარია, მარინა ჯიქია, დავით კუხალეიშვილი, ლაშა გვასალია, მამუკა წოწერია, ნუგზარ მალაშხია, თენგიზ შანავა, თამაზ ცანავა, იური გუგუჩია, რაულ ჩილაჩავა, გური ოტობაია, მურმან ნაჭყებია, ლავრენტი კემულარია, კარლო ვეკუა, თენგიზ ჭითანავა, ემზარ კვარაცხელია, მურთაზ და თამაზ ფაცაციები, ნუგზარ სართანია, ვაჟა ფიფია.

ევროკავშირის საიმიგრაციო პოლიტიკა

რა შეიცვლება 2024 წელს?

ევროპარლამენტის არჩევნებამდე გერმანია, საფრანგეთი და იტალია საიმიგრაციო კანონმდებლობას ამკაცრებენ. მიგრაციისა და თავშესაფრის მიღების სისტემის რეფორმა წინასაარჩევნო კამპანიის ძირითადი თემა იქნება.

რა ხდება?

2024 წლის ივნისში ევროკავშირის 27 წევრ-ქვეყანაში ევროპარლამენტის არჩევნები გაიმართება. სოციალური გამოკითხვების მიხედვით, ევროკავშირში მიგრანტებისა და ლტოლვილების მზარდი რაოდენობა და მათთვის თავშესაფრის უზრუნველყოფა წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი თემაა. შესაბამისად, გასაკვირი არც არის, რომ ევროპის სამმა უდიდესმა ქვეყანამ, რომლებიც მიგრანტების მთავარი სამიზნეა – გერმანიამ, საფრანგეთმა და იტალიამ – 2023 წელს მიგრაციის კანონები გაამკაცრა. აღნიშნული ინიციატივა ითვალისწინებს მიგრაციის ნაკადის შემცირებასა და დეპორტაციის პროცესის დაჩქარებას იმ ადამიანებისთვის, რომელთაც თავშესაფარზე უარყოფითი პასუხი მიიღეს.

მიგრაციის საკითხთან დაკავშირებით, ევროკავშირის სამი უმსხვილესი ეკონომიკა პოლიტიკურად ერთი და იმავე მიმართულებით მოძრაობს. თუმცა, ეროვნულ დონეზე, მიგრაციის პირობები და თავშესაფრის მიღების წესები ამ ქვეყნებში ძალიან განსხვავებულია. გერმანიის ხელისუფლებაში სოციალ-დემოკრატების, „მწვანეებისა“ და ლიბერალების სამთავრობო კოალიციაა. საფრანგეთს ლიბერალური უმცირესობის მთავრობა ჰყავს, იტალიას კი - მემარჯვენე პოპულისტური კოალიცია, რომელიც უკიდურესი მემარჯვენეებისა და ქრისტიან-დემოკრატებისგან შედგება. რას შეცვლიან ეს ქვეყნები საიმიგრაციო პოლიტიკის მიმართულებით 2024 წელს, **Deutsche Welle**-მ გაარკვია.

როგორია გერმანიის საიმიგრაციო კანონმდებლობა?

მიგრაციისა და ლტოლვილთა ფედერალური ოფისის (**BAMF**) პროგნოზის თანახმად, 2023 წელს, ევროკავშირში მყოფი მილიონზე მეტი თავშესაფრის მაძიებლიდან 350 ათასი ლტოლვილის სტატუსის მიღებას გერმანიაში მოითხოვდა. თავშესაფრის მაძიებლების გარდა, რომლებიც ძირითადად, სირიიდან, ავღანეთიდან და თურქეთიდან ჩამოვიდნენ, ქვეყანაში მილიონზე მეტი უკრაინელი ლტოლვილი შევიდა. მიგრანტებსა და ლტოლვილებთან დაკავშირებით არსებულ ვითარებას მმართველი კოალიცია რამდენიმე კანონის მიღებით გამოეხმაურა.

ერთ-ერთი მათგანია კანონი, რომელიც ქვეყანაში ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მცხოვრებ მიგრანტებს პირობებს უმარტივებს. ახლა მათ გერმანიაში ოფიციალურად მუშაობისა და ინტეგრაციის უკეთესი შანსი აქვთ. ამავე პერიოდში მიღებული სხვა კანონი კი, პირიქით, არალეგალური მიგრანტების სამშობლოში დაბრუნების (**Rückführungsverbesserungsgesetz**) პროცესის დაჩქარების საშუალებას იძლევა, თუ მათ გერმანიაში თავშესაფრის მიღებაზე უკვე უარი აქვთ მიღებული. ამ კანონის მიხედვით, არალეგალი მიგრანტების სახლების ჩხრეკა უკვე დაშვებულია, დეპორტაციის შეტყობინებიდან ფაქტობრივ დეპორტაციამდე პერიოდი კი მცირდება. ამასთანავე, დეპორტირებული პირის პატიმრობის დასაშვები ვადა გახანგრძლივდა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ამ სიახლეების პრაქტიკაში განხორციელება ამ ეტაპზე რთულია. გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ქვეყნიდან დეპორტირებული 50 ათასი ადამიანიდან, 2023 წლის პირველ ნახევარში, მხოლოდ 7 900 პირის დეპორტაცია გახდა შესაძლებელი.

აქვე უნდა ვახსენოთ კიდევ ერთი კანონპროექტი, რომელიც გერმანიის მოქალაქეობის მიღებას ამარტივებს. მისი მიღების შემთხვევაში, გერმანიაში ორმაგი მოქალაქეობა დაშვებული იქნება. გარდა ამისა, მოქალაქეობის მისაღებად ლოდინის პერიოდი რვიდან ხუთ წლამდე შემცირდება.

საფრანგეთი საიმიგრაციო პოლიტიკას ამკაცრებს

შოგამდე ცოტა ხნით ადრე, საფრანგეთის ეროვნულმა ასამბლეამ, მემარჯვენე პოპულისტური პარტიის ხმების წყალობით, საკამათო საიმიგრაციო კანონი მიიღო. პარტიის თავმჯდომარემ მარინ ლე პენმა განაცხადა მისი პოლიტიკური კურსის იდეოლოგიურ გამარჯვებაზე, რომელიც მიმდინარეობდა ლოზუნგით „საფრანგეთი, უპირველეს ყოვლისა!“. ლიბერალი პრეზიდენტის - ემანუელ მაკრონის მხარდაჭერა პარლამენტში მემარჯვენე პოპულისტების ხმებზე გავლენას ვერ მოახდენდა. სამაგიეროდ, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კონსერვატორმა რესპუბლიკელებმა, რომელთაც მიგრაციის წესების გამკაცრებას დაუჭირეს მხარი.

ახლა უკვე მაკრონი აპირებს, ეს კანონის განსახილველად საკონსტიტუციო საბჭოს წარუდგინოს. ახალი დოკუმენტი არალეგალი მიგრანტების დაჩქარებულ დეპორტაციას ითვალისწინებს. ამასთანავე, ის ართულებს მათ ხელმისაწვდომობას სოციალურ შეღავათებზე და მათი ოჯახის წევრების ქვეყანაში შესვლის შესაძლებლობას ზღუდავს. საერთაშორისო სტუდენტებს, რომელთაც საფრანგეთში სწავლა სურთ, ახალი კანონით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე დეპოზიტის წარდგენა მოეთხოვებათ. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების თანახმად, ფრანგების 70%-მა საიმიგრაციო კანონების გამკაცრებას დაუჭირა მხარი.

იტალია არალეგალი მიგრანტების ნაკადის წინააღმდეგ

მემარჯვენე პოპულისტურმა კოალიციამ, რომელსაც ჯორჯია მელონი ხელმძღვანელობს, 2022 წლის არჩევნები, სხვა საკითხებთან ერთად, სწორედ იტალიაში ჩასული მიგრანტების რაოდენობის შემცირების დაპირებით მოიგო. ახლა კი, შედეგების ჩვენების დრო დადგა. აღნიშნულმა კოალიციამ ევროკავშირსა და ტუნისის მთავრობასთან არალეგალი ემიგრანტების დეპორტაციის შესახებ შეთანხმებას მიაღწია, თუმცა მისი რეალიზება ვერ მოხერხდა. გარდა ამისა, იტალიის პრემიერ-მინისტრმა ალბანეთთან გააფორმა ხელშეკრულება, რომ იტალიიდან ალბანეთის ტერიტორიაზე ლტოლვილთა ორი ცენტრი (3 000 პირზე გათვლილი) გადაინაცვლებდა. უნდა აღინიშნოს, რომ ალბანეთი თავშესაფრის მაძიებლებისთვის უსაფრთხო მესამე ქვეყანად არის აღიარებული და ოფიციალური ტირანა ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს. ახლა ალბანეთის უზენაესი სასამართლო ამოწმებს, რამდენად კანონიერია იტალიასთან დადებული შეთანხმება. გარდა ამისა, მელონიმ დაავალა არმიას, დეპორტირებულებისთვის განკუთვნილი ბანაკები ქვეყნის ნაკლებად მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ააშენონ. მიგრანტები, რომლებიც სავარაუდოდ დეპორტირდებიან, იქ 12-ის ნაცვლად, 18 თვეს გაატარებენ და ამ ხნის განმავლობაში საბოლოო გადაწყვეტილებას დაელოდებიან.

ლტოლვილთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ევროპული გაერთიანება **ECRE** იტალიის ხელისუფლებას თავშესაფრის მიღების პროცესის გართულებისა და გახანგრძლივების გამო აკრიტიკებს. მათი თქმით, თავშესაფრის მაძიებლებს აუცილებელ ადმინისტრაციულ პროცედურებზე ლოდინი თვეების განმავლობაში უწევთ. ბევრი მიგრანტი არ რჩება იტალიაში და მიემართება უფრო ჩრდილოეთით - გერმანიასა და ავსტრიაში თავშესაფრის საძიებლად. თუმცა დუბლინის შეთანხმების მიხედვით, იტალიამ უნდა მიიღოს ისინი, რადგან ის არის ევროკავშირის პირველი ქვეყანა, სადაც მიგრანტები შედიან. ქვეყნის ხელისუფლება უარს ამბობს იმ მიგრანტების მიღებაზე, რომელთაც გერმანია იტალიაში აბრუნებს.

რა სიახლეები ელის ამ მიმართულებით 2024 წელს ევროკავშირს?

24 აპრილამდე ევროპარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ, რომლებიც 27 წევრი სახელმწიფოს ინტერესებს წარმოადგენენ, საიმიგრაციო პაქტი უნდა მიიღონ. ის ევროკავშირში თავშესაფრის საძიებო სისტემის ფართო რეფორმას ითვალისწინებს. პაქტი ითვალისწინებს თავშესაფრის თხოვნაზე განცხადების დაჩქარებულ წარდგენას პირდაპირ ევროკავშირის საზღვრებზე 30 ათასი ადამიანისათვის, რომელთაც ლტოლვილის სტატუსის მიღების მცირე შანსი აქვთ. ამავე დოკუმენტის თანახმად, სასაზღვრო ლტოლვილთა ბანაკებიდან დეპორტაციის პროცესი დაჩქარდება. გარდა ამისა, პაქტში პირველად არის საუბარი ევროკავშირის ყველა ქვეყნის სავალდებულო სოლიდარობაზე მიგრაციის საკითხებში.

ამრიგად, ევროკავშირში მიგრანტების შესვლის პირველ ქვეყნებში - იტალიაში, საბერძნეთში, ესპანეთში, კვიპროსსა და მალტაზე, თავშესაფრის მაძიებელთა გადაჭარბებული რაოდენობის შემთხვევაში, ევროკავშირის სხვა ქვეყნებს თავშესაფრის მაძიებლების მიღება კვოტების სისტემით შეეძლებათ. თუმცა, საიმიგრაციო პაქტის რვავე კანონის სრულად განხორციელება 2026 წლამდე ვერ მოხერხდება. ამის მიუხედავად, საიმიგრაციო პაქტი ევროკავშირის საარჩევნო კამპანიის მთავარი თემა გახდება.

ირაკლი ქადაგიშვილი:

რატომ მოწანწალებთ საქართველოში?!

ლატვიის, ესტონეთის, ლიეტუვისა და ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრები ჩამოდიან ვითარების ასარევად. არც კი თვლიან საჭიროდ, სახელმწიფოსთან წინასწარ შეათანხმონ.

კოლექტიური შემოტევაა საქართველოზე, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოზე. ჩამოდიან მიტინგის გასამხნევებლად, ვითარების ასარევად და არც კი თვლიან საჭიროდ, სახელმწიფოსთან რაიმე წინასწარი კონსულტაცია გასწიონ და წინასწარი თანხმობა ჰქონდეთ, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი ქადაგიშვილმა ლატვიის, ესტონეთის, ლიეტუვისა და ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრების ვიზიტთან დაკავშირებით განაცხადა.

ქადაგიშვილის თქმით, „საქართველოს მიმართ მათი დამოკიდებულება ეს არის და ჰგონიათ, რომ ფერადი რევოლუციები უნდა მოუწყონ სახელმწიფოს“.

„ყოველ წელს ჟიგიმანტას პავილიონისის ანგაჟირებული განცხადებები გვახსოვს, მნიშვნელობა არა აქვს, კანონს მიიღებ თუ არა. მთავარია, მათი მიზანია, რომ საქართველოში ისეთი ხელისუფლება უნდა იყოს, რომელიც წინა პლანზე ქვეყნის ინტერესებს არ დააყენებს“, – განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ 15 მაისს საქართველოს ლატვიის, ესტონეთის, ლიეტუვისა და ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრები ეწვევიან.

ძველი კინოსტუდია ხელოვნების ქალაქად გარდაიქმნება

კულტურის მინისტრის ინიციატივით, 2022 წლიდან მიმდინარეობს დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე უნიკალური ისტორიის მქონე კინოსტუდიის ოთხ ჰექტრამდე ფართობის ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მათ შორის – ჩამოქცევის პირას მისული 1920-იან წლებში აგებული ორი პავილიონის გადარჩენაზე მუშაობა. ტერიტორიაზე „ხელოვნების ქალაქის“ მოწყობა აქტიურად გრძელდება. კინოსტუდიის ერთ-ერთ შენობაში უკვე განთავსდა ცნობილი ფოტოგრაფის იური მეჩითოვის სტუდია; მოეწყო გამოფენა-გაყიდვის დარბაზი სამხატვრო აკადემიის პროექტისთვის „ლურჯი სუფრა“; ფუნქციონირებს მეთოჯინეების – ეკატერინე ბერიძისა და იულია სოროკინას სახელოსნო და მსახიობების შერჩევის სააგენტო – **Eka Cast Agency**, რომელსაც მსახიობი და კასტინგმენეჯერი ეკა მჟავანაძე ხელმძღვანელობს.

ტერიტორიაზე მოეწყო ძმებ ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის – **Fest I Nova**-ს თბილისის ფილიალიც (სამხატვრო აკადემიის რექტორის, ყარამან ქუთათელაძის მიერ 2007 წელს დაფუძნებულ ფესტივალს თანამედროვე ხელოვნების ცენტრი – რეზიდენცია „არტ-ვილა გარიყულა“ ყოველწლიურად მასპინძლობს).

სამუშაოების მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ ღია სივრცე მსურველებს მასტერკლასებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარების საშუალებასაც მისცემს. ასევე, ტერიტორიაზე შეიქმნება მულტიფუნქციური სტუდიები; მოეწყობა კლუბური სტილის კინოდარბაზი კინოჩვენებებისა და დისკუსიებისთვის.

ახალი თეატრალური სივრცე – „თოჯინების სახლი“



ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე, კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით განახლებულ ყოფილი ფირსაცავის შენობაში დაფუძნდა კერძო თეატრი „თოჯინების სახლი“. ის საზეიმოდ გაიხსნა ნიკა საბაშვილის სპექტაკლით „რეჟისორის ცოლი“, რომელიც ცნობილი ქართველი რეჟისორის, სანდრო ახმეტელის მეუღლის – თამარ წულუკიძის ტრაგიკულ ისტორიას ასახავს. საზეიმო ღონისძიებას კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, რეჟისორები, თეატრმცოდნეები და ხელოვნების სფეროს სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

„თოჯინების სახლის“ სახით ქართულ თეატრს კიდევ ერთი ახალი და უპრეცედენტო თეატრალური კერა შეემატა, რომელიც აერთიანებს თოჯინებისა და საგნების თეატრს და მას პოსტსაბჭოთა სივრცეში ანალოგი არ გააჩნია. თანამედროვე ევროპულ თეატრში ხშირად იმართება წარმოდგენები, რომელთა პერსონაჟების ნაწილი სხვადასხვა საგნით არის წარმოდგენილი, საქართველოში კი ეს ინიციატივა ახალი თეატრის დაფუძნებას უყრის საფუძველს.

დამოუკიდებელი თეატრის – „თოჯინების სახლის“ შექმნის იდეა და ინიციატივა ეკუთვნის რეჟისორ ნიკა საბაშვილს.

„თოჯინების სახლი“ არის მრავალფუნქციური კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცე. გარდა თოჯინური და საგნების თეატრისა, მისი სცენა დაეთმობა საზოგადოებისათვის ცნობილ ადამიანებს, მსახიობებს, ინდივიდუალურ შემსრულებლებს. გაიმართება შემოქმედებითი საღამოები, კონცერტები, სალონური შეხვედრები. პროექტის მიზანია, თეატრში ფუნქციონირებდეს კინოთეატრიც და ამ გზით მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ახალგაზრდა კინოხელოვანთა პროფესიულ განვითარებასა და მათი ნამუშევრების წარდგენას.

ამ განსხვავებული თეატრალური გარემოს შექმნის მიზანია, საგნების თეატრის სპექტაკლები შეესაბამებოდეს როგორც მოზარდი, ასევე, უფროსი თაობის ინტერესებს და მათ ესთეტიკურ წარმოდგენებს.

სპექტაკლი „რეჟისორის ცოლი“, რომლითაც ახალი სივრცე გაიხსნა, მოგვითხრობს თამარ წულუკიძის ტრაგიკული ცხოვრების შესახებ. იგი აკაკი ფაღავას თეატრალური სტუდიის დამთავრების შემდეგ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მუშაობდა. მსახიობს განსაკუთრებული სახელი მოუტანა გრიგოლ რობაქიძის პიესამ „ლამარა“, რომელიც სანდრო ახმეტელმა დადგა. საბჭოთა ხელისუფლებამ სპექტაკლი ეროვნული სულის მკაფიო გამოხატულებად მიიჩნია, თუმცა სანდრო ახმეტელმა, მოთხოვნის მიუხედავად, სპექტაკლი რეპერტუარიდან არ ამოიღო. ლ. ბერიას ბრძანების საფუძველზე, 1930 წელს რუსთაველის თეატრი საზღვარგარეთ საგასტროლოდ აღარ გაუშვეს. თამარ წულუკიძისა და სანდრო ახმეტელის ოჯახი რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდა. საბჭოთა რეჟიმმა სანდრო ახმეტელთან ერთად მისი მეუღლე თამარ წულუკიძეც დააპატიმრა. 1937 წელს სანდრო ახმეტელს – დახვრეტა, ხოლო თამარ წულუკიძეს ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მათი რეაბილიტაციის გადაწყვეტილება 1956 წლის 11 თებერვალს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მიიღო.

„ნანინა 2024“ – ქართველ ქალთა ტრადიციული მუსიკის მეორე ფესტივალი

14-15 მაისს ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ქართველ ქალთა ტრადიციული მუსიკის მეორე ფესტივალი – „ნანინა 2024“ ტარდება.

ორგანიზატორების ინფორმაციით, ფესტივალის მიზანია ქალთა ტრადიციული მუსიკის ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზება. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილი ტრადიციების გამომზეურება, ქალთა რეპერტუარის ჟანრთა მულტიდისციპლინური კვლევის შედეგების დემონსტრირება.

მეორე ფესტივალის თემაა „ბატონები – ტრადიცია, წეს-ჩვეულებები, მუსიკა“.

ფესტივალი სამსეგმენტიანი იქნება და მოიცავს:

მულტიდისციპლინურ სამეცნიერო კონფერენციას, რომელშიც ეთნომუსიკოლოგები, ეთნოლოგები, ზეპირსიტყვიერებისა და გამოყენებითი ხელოვნების მკვლევრები, ქორეოლოგები, ექიმები, ფსიქოლოგები წარმოადგენენ ბავშვთა ინფექციური დაავადებების მკურნალობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ სფეროში არსებული კვლევის შედეგებს სამეცნიერო ნაშრომების სახით;

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილ ბავშვთა ინფექციურ დაავადებათა მკურნალობასთან დაკავშირებული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალის პრეზენტაციას, ვიდეორგოლების სახით, საქართველოს 10 კუთხიდან, ესენია: ხევი, ქართლი, კახეთი, მესხეთი, რაჭა, სვანეთი, აჭარა, იმერეთი, გურია, სამეგრელო;

ფოლკლორულ კონცერტებს, საქართველოს მასშტაბით არსებული ქალთა ანსამბლების მონაწილეობით, რომელთა მიერ ცოცხლად შესრულდება შესაბამისი თემატიკის სასიმღერო/საფერხულო ნიმუშები.

ფესტივალის იდეის ავტორი და ინიციატორია ჯგუფ „ნანინას“ წევრი, ეთნომუსიკოლოგი მაია გელაშვილი. მხარდამჭერები – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, საქველმოქმედო ფონდი „ქართული გალობა“ და „მეღვინეობა შილდა“.

ფესტივალი ტარდება ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ ორგანიზებითა და თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით.

TBILISI JAZZ 2024 FESTIVAL

თბილისი ჯაზის ვარსკვლავებს ელის

22-24 მაისს თბილისი, რიგით 27-ე ჯაზფესტივალს მასპინძლობს. როგორც ყოველთვის, წლევანდელი ფესტივალის სტუმრებიც მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავები იქნებიან. წელს ჯაზფესტივალს პირველად უმასპინძლებს რუსთაველის ეროვნული თეატრი.

ფაშინიანი ჩამყოლ პოლიტიკას ამჯობინებს...

რუსეთისგან ბედის ანაბარად მიტოვებული სომხეთი აზერბაიჯანთან დიდი ხნის წამხდარი ურთიერთობის დალაგებას ცდილობს. ფაშინიანმა მთელი მსოფლიოს გასაგონად თქვა, რომ აზერბაიჯანის მიმართ სომხეთს პრეტენზია არა აქვს, და რომ სომხეთი აღარ ფიქრობს ყარაბაღის დაბრუნებაზე. სომხეთი საზღვრის დელიმიტაციასა და დემარკაციაზეც თანახმაა. ორი ქვეყნის ერთობლივი კომისია უკვე შეუდგა მუშაობას. სამუშაო კი ძალიან ბევრია.

საბჭოთა ხანაში, რესპუბლიკებს შორის საზღვრები დიდი ცდომილებით იყო გატარებული. ითვლებოდა, რომ სსრკ-ის შიგნით არსებული საზღვრების დაზუსტებაზე თავისკვლა არ ღირდა. საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა, პრობლემა მერე გაჩნდა. თითქმის, ყველა პოსტ საბჭოთა ქვეყანას მეზობლებთან სასაზღვრო დავა აქვს. საქართველოსაც, მათ შორის.

მარტო, დავით გარეჯის პრობლემა რად ღირს, სხვას რომ თავი დავანებოთ! სომხების საქმე კიდევ უფრო რთულადაა, რაც ყარაბაღის 1990-იანი წლების ომმა გამოიწვია. მაშინ, სომხეთმა, ყარაბაღის დასაკავებლად, აზერბაიჯანის სხვა სოფლებიც აიღო. 2021 წლის ომის დროს, პირიქით მოხდა, აზერბაიჯანმა დაიკავა სომხეთის რამდენიმე სოფელი. მოკლედ, ამ ორ ქვეყანას შორის საზღვარი ძალიან არეულია. შარშან, სომხეთმა საზღვრის ხელახალ დელიმიტაციაზე კატეგორიული უარი თქვა. შედეგად, აზერბაიჯანი სომხეთს ახალი ომით დაემუქრა.

ახლა უკვე, ფაშინიანი მზადაა დათმობაზე წავიდეს და თავუშის რაიონის რამდენიმე სოფლის აზერბაიჯანისთვის გადაცემა გადაწყვიტა. სომხეთის მთავრობა გადაწყვეტილების შესრულებას შეუდგა. მოსახლეობას სოფლები დააცლევინა, რამაც ხალხის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ერევანსა და სხვა ქალაქებში საპროტესტო მსვლელობები გაიმართა. მომიტინგეებმა ერევან-სევანის, ერევან-გიუმრის და ერევან-მეღრის სატრანსპორტო მაგისტრალები გადაკეტეს. გადაიკეტა სომხეთ-საქართველოს დამაკავშირებელი ავტომაგისტრალიც. ფაშინიანმა, მედიის გამოყენებით, დემონსტრანტებს მიმართა: საკითხი უაღრესად მტკივნეულია და, გასაგებია, რომ ეს სხვისი კი არა, ჩვენი სახლია. ყველაფრის პრობლემა ერთად დადგა, გზის, საცხოვარებლის, მაგრამ ჩვენ ახლა მხოლოდ სახლის ან გზის პრობლემებს კი არ ვწყვეტთ, არამედ საშვილიშვილო საქმეს, სომხეთის სუვერენიტეტის საკითხს ვაგვარებთ.

მართლაც, რუსეთისგან მიტოვებულ სომხეთს სხვა არაფერი რჩება გარდა იმისა, რომ დათმობაზე წავიდეს და თავად მიხედოს ეროვნული ყოფნა-არყოფნის დილემას. ფაშინიანმა გეზი ახლა დასავლეთისკენ აიღო, დასავლეთი კი, აზერბაიჯანთან და თურქეთთან დავების დამთავრებას და მათთან დამეგობრებას ურჩევს. ამერიკა და ევროპა მიესალმა ფაშინიანის ჩამყოლ პოლიტიკას. ალიევისა და შოლცის შეხვედრაზე ითქვა, რომ აზერბაიჯანისთვის სოფლების დაბრუნება და საზღვრის დემარკაციის პროცესის დაწყება რეგიონში სამშვიდობო პროცესს მისცემს ბიძგს. მათ სურთ, რომ სამხრეთ კავკასიაში მშვიდობა დამყარდეს.

უკრაინის ომისა და ახლო აღმოსავლეთში მზარდი დაძაბულობის ფონზე, მეტი ყურადღება ექცევა სამხრეთ კავკასიის რეგიონს. ამიტომ, დასავლეთისთვის მნიშვნელოვანია, რომ აქ მშვიდობა და კარგი მეზობლობა სუფევდეს. ამერიკისა და ევროკავშირის გააქტიურება ამ რეგიონში იმაზე მეტყველებს, რომ ის სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ ჰაბად უნდა გადაიქცეს. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის საზღვრის დემარკაციის პროცესის დაწყებამ პოზიტიური გამოხმაურება ჰპოვა ყაზახეთშიც. ყაზახეთის პრეზიდენტი თოყაევი ფაშინიანის ბოლოდროინდელ სულისკვეთებას მიესალმა, რადგან ამ რეგიონს დიდი ფუნქცია აკისრია: აქ გადის დიდი სავაჭრო გზა. ამიტომ, მშვიდობა ყველა მხარისთვის მნიშვნელოვანია.

პალესტინა თავისუფალი იქნება?!

ამერიკის სახელგანთქმულ საუნივერსიტეტო სისტემას რადიკალიზმით გაუღენთილმა ანტიებრაულმა საპროტესტო ტალღამ გადაუარა. მთელი ამერიკული საზოგადოება, მასმედიის ჩათვლით, აღშფოთებით კითხულობს, რა მოხდა ისეთი ამ ელიტარულ სასწავლებლებში, რომ სტუდენტობა ამგვარმა მწვავე რადიკალიზმმა მოიცვა. ამ მასობრივ ანტიებრაულ და პროპალესტინურ გამოსვლებში, ნიუ ორკის, კოლუმბიის, იელის, ჰარვარდის, ტაფტის, მიჩიგანის, კალიფორნიის უნივერსიტეტები, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი და ბევრი სხვა, მსოფლიოში ცნობილი, უმაღლესი სასწავლებელია ჩაბმული.

სტუდენტური გამოსვლების მონაწილე ახალგაზრდობა, თავდაცვის სისტემის იმ კომპანიებში, რომელიც ისრაელთან ბიზნეს-ურთიერთობაშია, ინვესტიციების შეწყვეტას ითხოვს. ისინი თავიანთ უნივერსიტეტებს მოუწოდებენ, ებრაელი ბიზნესმენებისგან ფინანსურ შემოწირულობებზე უარი თქვან.

კამპუსებში კარვები გაიშალა და შენობების შესასვლელები ჩაიხერგა. უნივერსიტეტების ადმინისტრაციამ პოლიციას მოუხმო, რომელმაც ფიზიკური ძალა და ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. დააკავეს 500-ზე მეტი სტუდენტი. პროცესში ყველაზე პარადოქსული ისაა, რომ სტუდენტები ისრაელს აკრიტიკებენ და ჰამასს აქებენ, თითქოს, შვიდი ოქტომბრის ტერაქტი ჰამასს არც კი ჩაუდენია და, დღემდე, მძევლები არ ჰყავს აყვანილი. ზოგიერთი უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, სტუდენტებმა ეკრანი დააყენეს და პროპალესტინურ და ჰამასის მხარდამჭერ ვიდეოებს აჩვენებდნენ. დემონსტრაციებზე რადიკალური ლოზუნგები ისმოდა, მაგალითად, მდინარიდან ზღვამდე, პალესტინა თავისუფალი იქნება. ეს, ჰამასის მოწოდებაა, რაც ისრაელის სახელმწიფოს განადგურებას გულისხმობს.

ახლა კი, იგივე ლოზუნგს ამერიკელი სტუდენტები იმეორებენ. ზოგ სასწავლებელში მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ რადიკალებმა ებრაელი სტუდენტების შევიწროება დაიწყეს, რის გამოც, მათ კამპუსში მისვლაზე უარი განაცხადეს. ასეთი რადიკალიზმით შეშფოთებულმა კოლუმბიის უნივერსიტეტმა დისტანციური სწავლება გამოაცხადა. რადიკალებს მხარს ლიბერალური ორგანიზაციები უჭერს. გამოჩნდნენ რადიკალი ლიბერალები სამკერდე ნიშნით **I-love-Hamas**. ამბოხებულ ახალგაზრდებს ლგბტ ჯგუფებიც მიემხრო იმ რწმენით, რომ ისრაელი ლგბტ-ს მოწინააღმდეგეა, რადიკალური ისლამი კი, მომხრე. სტუდენტურმა ორგანიზაციამ **National-Students-for-Justice**, ინსტაგრამით, ჰუსიტებს მადლობა გადაუხადა. ამ დროს, ჰუსიტები, ასევე, რადიკალი ისლამისტები არიან, რომლებიც ურჯულოთა სიკვდილსა და ქალების ქვებით ჩაქოლვას ითხოვენ. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამერიკელი სტუდენტის მსოფლმხედველობა ყირამალა დადგა.

მათთვის, ახლა, დასავლური პოლიტიკური ელიტა – ბოროტების განსახიერება, რადიკალური ისლამი კი, სიკეთის სიმბოლოა. სწორედ, ამიტომ გაჩნდა შეკითხვა საზოგადოებაში: საიდან აზროვნების ასეთი უცაბედი და მკვეთრი ცვლილება ახალგაზრდობაში? 2019 წელს, ერთი შვეიცარიელ-მაროკოელი მწერალი კასემ ალ-გაზალი წერდა: ათეისტი პროგრესისტები დასავლეთის ქვეყნებს მუსლიმი ქალებისთვის ჩადრის აკრძალვის გამო აკრიტიკებენ, რომ ეს ქალთა უფლებების დარღვევაა. გახარებული რადიკალი ისლამისტები კი, ამის გამო, პროგრესისტებს ტაშს უკრავენ. გამოდის, პროგრესისტებიც და ისლამისტებიც, ორივე ერთხმად, თეთრკანიან იმპერიალისტებს უდგანან კრიჭაში. ისინი ყველას ფაშისტ რადიკალად ნათლავენ, ვინც მათ აზრს არ იზიარებს. ჰამასის ერთ-ერთი დამაარსებლის შვილი, მუსაბ ჰასანიუსეფი, სტუდენტებს მიმართავს, აზრზე მოდით, ჰამასი თავის მიზნებისთვის გიყენებთო. ის ამერიკაში ცხოვრობს და ჰამასის არც თუ ძალიან გამჭვირვალე საქმიანობაზე წიგნიც აქვს გამოქვეყნებული.

ამერიკელი ექსპერტების თქმით, სტუდენტთა ამ ფართომასშტაბიანმა პროტესტმა ბაიდენი საგონებელში ჩააგდო. მისი უპირველესი მხარდამჭერები ლიბერალი რადიკალები არიან, მაგრამ ამერიკის პრეზიდენტს, ახლა მათი საქციელი ეჩოთირება. აღარ იცის, რა ქნას: გააკრიტიკებს მათ და მომხრეებს დაკარგავს, გაჩუმდება და, შეიძლება, უარესი მიიღოს.

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

ტრამპი ტრანსგენდერებს ემუქრება

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ პრეზიდენტობის პირველივე დღესვე ჯო ბაიდენის მიერ დაწესებული ტრანსგენდერი სტუდენტების დაცვის პროგრამას გააუქმებს. ინფორმაციას ამის შესახებ ამერიკული მედია ავრცელებს.

აშშ-ის განათლების დეპარტამენტმა აპრილში გამოაქვეყნა საბოლოო ცვლილებები სამოქალაქო უფლებების ფედერალურ კანონში, რომლის მიზანია თავიდან აიცილოს სქესის მიხედვით დისკრიმინაცია სკოლებსა და საგანმანათლებლო პროგრამებში, რომლებიც იღებენ სახელმწიფო დაფინანსებას.

ახალი რეგულაციები, რომლებიც 1 აგვისტოდან ამოქმედდება, პირველად მოიცავს დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე.

„ჩვენ დავასრულებთ ამას [ჩემი პრეზიდენტობის] პირველივე დღეს“, – აღნიშნა დონალდ ტრამპმა.

სერგეი ლავროვი: დასავლეთს ბრძოლის ველზე ველოდებით!

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ თუ დასავლეთს სურს უკრაინაში კონფლიქტის მოგვარება ბრძოლის ველზე, მაშინ ეს ბრძოლის ველზე მოხდება. ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო **Reuters**-ი ავრცელებს.

„თუ მათ სურთ (უკრაინაში კონფლიქტის მოგვარება) ბრძოლის ველზე, მაშინ ეს იქნება ბრძოლის ველზე“, – თქვა ორაზროვნად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

მან ასევე განაცხადა, რომ რუსეთი მზად არის მოლაპარაკებებისთვის არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც.

„ჩვენ სტამბოლში ნამდვილად ვიყავით ერთ ნაბიჯზე დოკუმენტის პარაფირებისაგან და ამით სპეციალური საომარი ოპერაციის დასრულებასთან, რასაც უკრაინის სპონსორები აღიარებენ, ეს მოხდებოდა უკრაინისთვის ძალიან ხელსაყრელი პირობებით“, – დასძინა მან.

საიდან, ამდენი სიძულვილი?!

მკითმე დრო დაუდგა საქართველოს! ხალხი ისევ გახლეჩის, გათითოკაცების პირისპირ დგას. თბილისი კვლავ მიტინგებმა მოიცვა. ოპოზიციას არც ხელისუფლება ჩამორჩა და მიტინგზე იხმო მოვხრეები, რომლებიც, რა თქმა უნდა, სჭარბობენ ოპოზიციის მხარდამჭერთ. მომიტინგეებს სტუდენტები და მათი პედაგოგების ნაწილი ამოუდგა გვერდში და აპროტესტებენ ე.წ. „რუსული“ კანონის მიღებას, თუმცა ვერავინ ასაბუთებს, რატომაა კანონი „რუსული“. რუსულია და მორჩა! – ესაა მათი „ლოგიკა“.

„ქართული TV“-ის ეთერში ჟურნალისტი და გადაცემის „პოლიტიკური თერმომეტრი“ წამყვანი გაურ ნაჭყებია ესაუბრა პოლიტიკის ანალიტიკოსს მარიამ მაისურაძეს. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ანალიტიკოსმა ყველაფერს სწორად დაარქვა თავისი სახელი და ნათელი გახადა ის, თუ რატომ შეარქვეს გამჭვირვალობის შესახებ კანონს რუსული და ოპოზიციურმა პიარმანქანამ როგორ იმუშავა ახალგაზრდებზე – მათ უთხრეს, რომ ამ კანონით ახალგაზრდებს ართმევენ ევროპულ მომავალს, რომ კანონი არის რუსული, რომ იცვლება პოლიტიკური ვექტორი რუსეთის სასრგებლოდ. ამ ფანდმა იმოქმედა, რადგან არავის უნდა რუსეთი და მასთან მეგობრობა, მისი კანონები.

საბედნიეროდ, სოციალურ ქსელში არიან ადამიანები, რომლებიც ასევე სწორ ანალიზს აკეთებენ და ახალგაზრდებს მოუწოდებენ – გააანალიზონ შექმნილი ვითარება, ვის წისქვილზე უშვებენ წყალს, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ასე გაუაზრებელ-გაუანალიზებლად „რუსული კანონისა“ და „რუსებოს“ ბახილს. ერთ-ერთი ახალგაზრდა ბიზნესმენის, უბრალოდ, წესიერი ქართველი კაცის ირაკლი ვადაჭკორიას“ პოსტი გვინდა გაგაცნოთ ფეისბუქიდან.

ამირან გუთურიშვილი

არა რუსულ კანონს!

რა თქმა უნდა, ასე სჯობს დაწყება...

ჩემი მეგობრები, ნათესავები, ნაცნობები (გარკვეული რაოდენობა) დადიან საპროტესტო აქციებზე და მხოლოდ ერთი კითხვა მაქვს ყველა მათგანთან და დღემდე არ მიმიღია ზუსტი პასუხი.

რა არის „რუსული“ კანონი და რატომ არის ეს კანონი „რუსული“ და არა „ამერიკული“, ან „ევროპული“, ან მართლა ქართული?..

პასუხები შემდეგია – „რუსული“ იმიტომ არის, რომ ხალხმა შეარქვა და საკმარისია. „რუსული“ იმიტომ არის, რომ ევროპას და ამერიკას არ უნდა.

მოკლედ, ზოგს ჯერა, რასაც მასმედიაში უსმენს ან კითხულობს, ზოგს თავისი „კუმირის“ სჯერა, ზოგი სხეულით გრძნობს და, რა ვიცი, კიდევ – რუსეთმაც ასე დაიწყოო და, მოკლედ ათასი რამ... მაგრამ, არა ის, თუ ეს კანონი რატომ არის „რუსული“. ყველაფერში საჭიროა ფაქტები.

ფაქტი – ამ მთავრობის ხელში კონსტიტუციაში ჩაეწერა მხოლოდ ევროპა! ამ მთავრობის პერიოდში მივიღეთ ევროპასთან უვიზო რეჟიმი! ამ მთავრობის ხელში მივიღეთ კანდიდატის სტატუსი!.. იმ მთავრობას არც ვახსენებ, რუსებთან რა როგორ იყო დალაგებული. აი, მარტივად მითხრას ვინმემ – ან ირაკლი კობახიძე ან სხვა მაღალი თანამდებობის პირი რამე კავშირში არის რუსეთთან? იქ სწავლობდნენ, თუ იქ მუშაობდნენ და რუსული რუბლები ერიცხებათ ზოგიერთებივით? მითხარით ვინმემ რამე „ლინკი“.

კითხვა არ გიჩნდებათ, რატომ ებრძვიან ჩვენი უცხოელი „პარტნიორები“ ამ კანონს? თანაც, ჩვენი ხომ მათთან შედარებით, ყველაზე მსუბუქია. ლოგიკას თუ მივყვებით, მიხვდებით.

გუშინ ჭავჭავაძეზე რომ გამოვედი, სამი თინეიჯერი გოგო მოდიოდა ფეხით, დასველებულები, უკან ევროპის დროშა მოფარებულნი 12-13 წლის იქნებოდნენ და გაწუწულები შემეცოდნენ და უცბად აკოცეს ერთმანეთს, „ზასაობა“ დაიწყეს ერთმანეთში! ჰოდა, მე არ მინდა ასეთი ევროპა! არ მინდა, ისე მიგვიღონ, რომ თავდახრილი და დამონებული ვიყოთ! ჩვენ არც რუსებს დავემონებით, არც ევროპელებს, არც ამერიკელებს და არც სხვა ვინმეს! ქართველები ამაყი ერი ვართ და თავაწეულს მიგვიღებენ ევროპაში ჩვენი ადათწესებით და რწმენით! ნურავის ჰგონია, რომ ან ამერიკა ან ევროპა ისე გვეხმარება, მეგობრულად, უი, რა კარგები ხართო, მათაც ვჭირდებით ჩვენ, როგორც ჩვენ გვჭირდებიან ისინი, მაგრამ – ნამდვილი ევროპა!

მოვა დრო, ამერიკა და ევროპაც გაიწმინდება მექრთამე პოლიტიკოსებისგან, გამომივიდნენ „დემოკრატიის მამები“.

ტრამპს ტვიტერი და ფეისბუქი გაუთიშეს და ჩვენ გვეუბნებიან სიტყვის თავისუფლება და დემოკრატიაო...

რამდენიმე შტატში კანდიდატურა მოუხსნეს და ჩვენ გვეუბნებიან დემოკრატიაო...

უნივერსიტეტში სპეცრაზმი და პოლიცია შეუვარდა სტუდენტებს და უბათქუნეს და დააკავეს... ბაიდენმა ბრძანა – აბა რაო და ჩვენ გვეუბნებიან დემოკრატიაო.

საფრანგეთში, გერმანიაში წინა დღეებში მჯდომარე აქციები დაშალეს, ძაღლები მიუქსიეს, ხელკეტებით ცემეს, რეზინის ტყვიები ესროლეს და ჩვენ გვეუბნებიან – თქვენთვის ეს არ შეიძლებაო.

სადაა დემოკრატია?

ვინც მე კარგად მიცნობს, კი იცის ჩემი დამოკიდებულება, რომ მენანებიან ის ახალგზარდები, ვისაც რამე დაუშავდა, მაგრამ რა ხდება მაშინ, თუ არ დაიშალა აქცია? გადატრიალება?

სამწუხაროა, მაგრამ, მაიდნიდან დაწყებული, ყველგან ერთი და იგივე სცენარით მიდიან, თუმცა საქართველოში ეგ არ გამოუვათ! ახალგაზრდები მიხვდებიან საბოლოოდ, რა და როგორ არის მოწყობილი და სწორ არჩევანსაც გააკეთებენ.

ეს რა ქნეს, რა გვიქნეს, მეგობრები, ნაცნობები ერთმანეთს როგორ ელაპარაკებიან, ზიზღით სავსე კომენტარებს წერენ, იმუქრებიან – აი, გიმახსოვრებთ და მთავრობა რომ შეიცვლება მერე ნახეთ, რას გიზამთო.

გაუზრდელებული და ამორალური გახდა ეს ყველაფერი!

რა დაგვემართა?

რის გამო?

ვის გამო?

ასეთი სიძულვილი საიდან?

არ მოგწონს ერთი ან მეორე პარტია? მესამეს დაუჭირე მხარი, მოდის არჩევნები და მიდი, დააფიქსირე შენი აზრი, გადაწყდება – ვინ ვის უჭერს მხარს. დასანანია, რასაც ვუყურებ და ვკითხულობ, რა დღეში ვართ. როგორ უხარიათ ვიღაცის შეურაცხყოფა, გინება, ხელის დარტყმა, რა გვჭირს მართლა? მანქანის მძღოლ გოგოს როგორ ექცეოდნენ, როგორ ატირეს, ის რა შუაში იყო? და ეს როგორ უხაროდა ზოგს, ასე და ასეთები არასდროს ვყოფილვართ!!!

მე მეამაყება, რომ ქართველი ვარ და საქართველოში დავიბადე! და „წინ – ევროპისკენ!“ კი არა ჩვენ ვართ ევროპა!

ვერ გაგვტეხენ! მტრის ჯინაზე ისევ გავერთიანდებით და დიდი სიხარულით აღვნიშნავთ ამას! როგორც 26 მარტს გავერთიანდით დიდი სიხარულის გარშემო! დროებით დაკარგულ ტერიტორიებსაც აუცილებლად დავიბრუნებთ და გვექნება საამაყო ევროპული ქვეყანა!

ირაკლი ვადაჭკორია

რას არ გაიგებ!

ბოლო ასწლეულის განმავლობაში, ადამიანის ტვინი გაიზარდა

დევისის კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანის ტვინის მოცულობა 1930 წლიდან თითქმის 7%-ით გაიზარდა. ეს ცვლილება უზრუნველყოფს გაძლიერებულ დაცვას ასაკთან დაკავშირებული დემენციისგან. კვლევის შედეგები გამოქვეყნდა **JAMA Neurology**-ზე.

მკვლევარებმა მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიით (**MRI**) გაზომეს ტვინის მოცულობა 30-დან 62 წლამდე ასაკის 5209 მამაკაცსა და ქალში. **MRI** ჩატარდა 1999-2019 წლებში. კვლევის მონაწილეები დაბადებულები იყვნენ 1930-1970-იან წლებში.

შედეგებმა აჩვენა, რომ 1930-იან წლებში დაბადებულთა ტვინის საშუალო მოცულობა იყო 1234 მილილიტრი. 1970-იან წლებში დაბადებულ ადამიანებში ეს მაჩვენებელი 1321 მილილიტრამდე გაიზარდა, რაც, დაახლოებით, 6,6%-ით მეტია.

მეცნიერებმა ასევე დაადგინეს, რომ ტვინის მოცულობის გაზრდა დაკავშირებულია ახალგაზრდა თაობებში დემენციის შემცირებულ რისკთან. მკვლევარებმა წამოაყენეს ჰიპოთეზა, რომ ეს „ჰიპერტროფია“ ქმნის უფრო მეტ კოგნიტურ რეზერვს, რათა თავიდან ავიცილოთ ასაკთან დაკავშირებული ყურადღების, მეხსიერების, რეაქციის სიჩქარის და სხვა უნარების დაქვეითება.

ხელოვნური სისხლი, რომლის გადასხმაც შესაძლებელია ყველა ჯგუფის სისხლში

ადამიანებს აქვთ სისხლის 4 ჯგუფი, რომელთა შორის არის მხოლოდ ერთი უნივერსალური, ანუ შესაფერისია აბსოლუტურად ყველა ადამიანისთვის - ეს არის ჯგუფი I (**O**). მიუხედავად იმისა, რომ ეს საერთო ჯგუფია, დონორის სისხლი ხშირად მაინც დეფიციტია. ამიტომ, მეცნიერები რამდენიმე ათეული წელია მუშაობენ ხელოვნური უნივერსალური სისხლის შექმნაზე, რომელიც ყველა პაციენტს გამოადგება. თუმცა, დადებითი შედეგი მხოლოდ ახლაა მიღწეული.

რატომ არის რთული უნივერსალური დონორის სისხლის შექმნა? არასწორი სისხლის ჯგუფის გადასხმამ შეიძლება გამოიწვიოს იმუნური რეაქცია. მიზეზი ის არის, რომ იმუნური სისტემა ცნობს უცხო შაქრის მოლეკულებს, რომლებსაც ასევე უწოდებენ "ანტიგენებს", სისხლის წითელი უჯრედების ზედაპირზე და იწყებენ მათზე შეტევას. მხოლოდ I სისხლის ჯგუფი არ შეიცავს ანტიგენებს, ამიტომ უნივერსალურია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ანტიგენების მოცილებით შესაძლებელია სისხლის უნივერსალური, ანუ I ჯგუფის მიღება. მეცნიერები ამაზე მუშაობდნენ ათწლეულების განმავლობაში, სხვადასხვა ფერმენტების გამოყენებით. მაგალითად, ჯერ კიდევ 1980-იან წლებში გამოიყენებოდა ფერმენტები მოუხალავი ყავის მარცვლებიდან II და III ჯგუფის ანტიგენების მოსაშორებლად.

მას შემდეგ, ექსპერიმენტები ტარდება სხვადასხვა, უფრო ეფექტური ფერმენტების გამოყენებით, რომლებიც აშორებდნენ ანტიგენებს ორივე, II და III ჯგუფის სისხლში. ორივე ჯგუფის სისხლში სისხლის წითელი უჯრედების გაწმენდის შემდეგ, მოლეკულურ დონეზე ისინი ზუსტად ჰგავდნენ I ჯგუფის სისხლის წითელ უჯრედებს, ანუ უნივერსალური სისხლის შექმნა შეუძლებელი იყო.როგორც ნაშრომის ავტორები ამბობენ, ჯადოსნურ ფერმენტზე ან ფერმენტებზე ნადირობა უკვე მიმდინარეობს და ისინი ძალიან მალე გამოჩნდებიან. ეს ნიშნავს, რომ მეცნიერებს შეეძლებათ გადაჭრას ადამიანის სისხლის დეფიციტის, ან თუნდაც შეუთავსებლობის პრობლემა.

◎ ჩავარდნა

უსიამოვნო სიურპრიზი



გაწბილებას თუ ვუწოდებთ იმ ფაქტს, რომელიც სტამბოლში მოხდა, სადაც მოჭიდავეებმა პარიზის დამდეგი ოლიმპიადის უკანასკნელი სალიცენზიო ტურნირი გამართეს.

განსაკუთრებით დაგვწყვიტეს გული კლასიკოსებმა, რომლებიც საფრანგეთს ზაფხულში ორწევრიანი(!) დელეგაციით ეწვევიან. დიახ, თუ ადრე პროგრამა-მინიმუმი **რობერტ კოგლიაშვილმა** (97 კგ) შეასრულა, ამჯერად მიზანს მხოლოდ **რამაზ ზოიძემ** (67 კგ) მიაღწია. მიაქცევდით ალბათ ყურადღებას – თამაშებს მიღმა, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით ჩვენი ნაკრების გამოკვეთილი ლიდერი და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ლევრი აგულაძე** დარჩან, ვინც მედლის მოპოვების რეალურ კანდიდატად გვესახებოდა.

ბევრად უკეთესად საქმე არც თავისუფალ სტილში გვაქვს, რომელშიც ჯვაროსნებს ოთხიოდე წარმომადგენელი ეყოლებათ.

თურქულ ხალიჩაზე ერთადერთმა **ვლადიმერ გამყრელიძემ** (86 კგ) იყოჩაღა, ვინც მეოთხე ქართველი ფალავანია **გოდერძი ძებისაშვილის** (65 კგ), **გივი მაჯარაშვილისა** (97 კგ) და **გენო ვეტრიაშვილის** (125 კგ) შემდეგ, ზაფხულში საპატიო კვარცხლბეკს რომ შეუტევს.

ვიმედოვნებთ, მალე შევიტყობთ, რა ხდება სამამულო ჭიდაობაში?

◎ ოვალური ბურთი

უკვე გაუწყეთ, რომ ივლისის ტესტებზე ბორჯღალოსნებს 3 ტესტი ელით, ამ დღეებში კი მომავალ შეხვედრათა არბიტრების ვინაობა გახდა ცნობილი:

5 ივლისი. ბათუმი. საქართველო – ფიჯი. კრეიგ ევანსი (უელსი).

13 ივლისი. იოკოჰამა. იაპონია – საქართველო. ანდრეა პიარდი (იტალია).

20 ივლისი. სიდნეი. ავსტრალია – საქართველო. ჯეიმს დოულმენი (ახალი ზელანდია).

ამავე დროს გაირკვა, რომ საზაფხულო სერიაში დიდი ნდობა კიდევ ერთხელ გამოუცხადეს წამყვან ქართველ მსაჯ **ნიკა ამაშუკელს**, ვისაც სამხრეთ ნახევარსფეროში ორი მატჩის გაძღოლა მოუწევს:

ტესტებიც მოახლოვდა

6 ივლისი. დანიდინი. ახალი ზელანდია – ინგლისი.

13 ივლისი. მელბურნი. ავსტრალია – უელსი.

დავძენთ, რომ მსოფლიო რაგბიმ თამაშის წესებში 3 ცვლილება შეიტანა და ისინი ძალაში 1 ივლისიდან შევა:

1. თამაშგარეში მყოფი მორაგბე უნდა ეცადოს მოქმედების არეალს გაეცალოს და მეტოქეს თამაშის საშუალება მისცეს.

2. გუნდს უფლება აღარ ექნება თავისუფალი დარტყმის შემთხვევაში შერკინება მოითხოვოს.

3. მბოჭავს ჩამოერთვა მოწინააღმდეგის გაყვანის ან ამოტრიალების უფლება.

სხვათა შორის, ამავე პერიოდში მთელ რიგ სხვა ცვლილებებსაც, ოკეანეთის ერთა თასსა და მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზეც გამოცდიან.

◎ ორიოდე სიტყვით

სამგო

ნოვი სადი (სერბეთი). ევროპის ჩემპიონატი. ოქრო – დავით ლორიაშვილი (98 კგ, მეოთხედ!), უშანგი მარგიანი (88 კგ). **ვერცხლი** – ლუკა წიქვაძე (79 კგ). **ბრინჯაო** – ელიზბარ თურქია (71 კგ), ნინო ოძელაშვილი (72 კგ), ელენე ქებაძე (+80 კგ):

ნიჩბოსნობა

მინგეჩაური (აზერბაიჯანი). საერთაშორისო ტურნირი პრეზიდენტის თასი. 20 ქვეყანა. საქართველო – 12 მედალი (5 ოქრო, 2 ვერცხლი, 5 ბრინჯაო). **პირველი ადგილი** – სანდრო თეზელაშვილი, გიორგი ეკალაძე, ვახტანგ მამულაშ,ვილი და ნიკოლოზ წიკლაური (2 დისტანციაზე), გიორგი კაპანაძე და ნიკო იორდანიშვილი. **მეორე ადგილი** – გიორგი ეკალაძე (2 დისტანციაზე). **მესამე ადგილი** – თეზელაშვილი (2 დისტანციაზე), კაპანაძე, ნიკოლოზ ჭეიშვილი და იოანე ნებიერიძე.

ფეხბურთი

ამ დღეებში კვიპროსის ჩემპიონები აპოელში გახდნენ ლაშა დვალი და გიორგი ქვილითაია, ხოლო უკრაინულ ოქროს დაეუფლნენ გიორგი გოჩოლეიშვილი, ირაკლი აზაროვი და ლუკა ლაცაბიძე (შახტარი). დუბლამდე ერთი ნაბიჯი აშორებს ავსტრიის თასის გათამაშების ზედიზედ ორგზის გამარჯვებულს ოთარ კიტეიშვილს, რომელმაც ფრედ – 2:2 დასრულებულ შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა, მაგრამ ყვითელი ბარათების სიმრავლის გამო საჩემპიონო მატჩში ბოლო ტურში ვერ ითამაშებს. კიდევ ერთხელ დასახელდა ვალენსიას საუკეთესო მოთამაშედ გიორგი მამარდაშვილი (0:0 რაიო ვალეკანოსთან), ხოლო ჟორჟ მიქაუტაძემ ზედიზედ მეექვსე მატჩში გაიტანა ბურთი (1:2 სტრასბურგთან).

წყალში ხტომა

ზადარი (ხორვატეთი). ტრადიციული ახალგაზრდული საერთაშორისო ტურნირი. 60 მონაწილე 8 ქვეყნიდან. საქართველოს 6-წევრიანი დელეგაცია – 6 მედალი (**მწვრთნელები** – ჭოლა ჭანტურია, გელა აბულაძე, მსაჯი – სალომე ჯუღელი). **ოქრო** – თინათინ ბურჯანაძე, მარიამ ბოლქვაძე. **ვერცხლი** – მაქსიმე მახათაძე (2 დისციპლინაში), ლუკა კიკნაველიძე, გიორგი ქანაშვილი. ჩვენი მეტოქეები 2-3 წლით უფროსები იყვნენ.

ჩოგბურთი

თბილისის მზიურის კორტები. ვაჟთა 15-ათასიანი საერთაშორისო ტურნირი. წყვილთა თანრიგი. **მეორე ადგილი** – ზურა ტყემალაძე, ალექსანდრე ბაქში.

ხელბურთი

მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო პლეი ოფი. საპასუხო მატჩი. ავსტრია – საქართველო 37:31 (პირველი შეხვედრა 27:25).

კალათბურთი

ბოლონია (იტალია). სერია ა-ს პლეი-ოფის მეორე მატჩი. ვირტუსი – ტორტონა 83:77 (პირველი შეხვედრა – 92:80). სერიის ანგარიში 2:0. ბრძოლა 3 მოგებამდე გრძელდება და მორიგ თამაშს რეგულარული სეზონის გამარჯვებული უკვე სტუმრად გამართავს.

რაც შეეხება **თორნიკე შენგელიას,** მასპინძელთა ლიდერმა მაღალი სიცხის გამო ორივეჯერ დაისვენა და პარტნიორებს, ალბათ, მალევე შეუერთდება. შეგახსენებთ, რომ ჯვაროსანთა კაპიტანი ევროლიგის MVP-ის ტიტულის მოპოვების ერთ-ერთი კანდიდატია.

◎ გამოიცა

„პროფესორის“ სიდიადე

13 მაისს თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული კაპიტნის, ალექსანდრე ჩივაძის შესახებ წიგნის – „პროფესორი“ პრეზენტაცია გაიმართა, რომლის ავტორიც მამუკა კვარაცხელიაა.

წარდგინება სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის ფონდის, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციისა და სპორტის სამინისტროს თანადგომით შედგა. ღონისძიებას ვეტერანი დინამოელები, მედიის წარმომადგენლები და ფეხბურთის გულშემატკივრები ესწრებოდნენ.

წიგნში შესულია ისტორიები „დინამოს“ გამოჩენილ კაპიტანზე, თავად ალექსანდრე ჩივაძის მოგონებები, შეკრებილია ავტორისა და ცნობილი ჟურნალისტების სტატიები, სპეციალისტების შეფასებები.

პრეზენტაცია 1981 წლის 13 მაისის დიუსელდორფის ისტორიული წარმატების თარიღს დაამთხვიეს, როდესაც ალექსანდრე ჩივაძის კაპიტნობით გენიალური **ნოდარ ახალკაცის** გაწვრთნილმა თბილისის „დინამომ“ უდიდეს შედეგს მიაღწია და ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების გამარჯვებული გახდა.

მარჯვნიდან – ალექსანდრე ჩივაძე, ტარიელ ხეჩიკაშვილი, მამუკა კვარაცხელია და მიხეილ აბაიშვილი.

◎ ოქტაგონზე

ბრაზილიელთან – 8 ივნისს

რომან დოლიძე UFC-ში მორიგი ბრძოლისთვის ემზადება. ქართველ სპორტსმენს დაპირისპირება 8 ივნისს, კენტუკის შტატში, ბრაზილიელ მიშელ პერეირასთან მოუწევს, რომელსაც საოცარი სერია აქვს და ბოლო 8 შეხვედრა მოიგო.

მე-10 ჩხუბი დოლიძეს ამერიკელი ენტონი ერნანდესის წინააღმდეგ უნდა ჩაეტარებინა, თუმცა მისმა მეტოქემ ტრავმა მიიღო და ჩვენებურმაც შემცვლელი მალევე იპოვა.

რომანს შერეული საბრძოლო ხელოვნების ორგანიზაციაში სულ 9 ბრძოლა აქვს გამართული, რომელთაგანაც 6 მოიგო და 3-ჯერ მარცხი განიცადა. რაც შეეხება მის ახალ მეტოქეს, მიშელს 42 დაპირისპირებიდან 31 თავის სასარგებლოდ აქვს დასრულებული.

◎ პარატაეკვონდო

სერბეთიდან – სამი მედლით

პარა ტაეკვონდოში სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში გამართულ ევროპის 2024 წლის ჩემპიონატზე ქართველმა პარასპორტსმენებმა სამი მედალი მოიპოვეს.

ლია ჩაჩიბაიამ, ნატალია ოჩიგავამ და გიორგი ნიკოლაძემ მესამე ადგილისთვის ბრძოლაში მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლები დაამარცხეს და ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ.

წერილი დაღესტნიდან

„ხელოვნებისა და მეცნიერების“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცეკვის საერთაშორისო საბჭოს ელჩს საქართველოში, ბატონ ნიკოლოზ პატარქალიშვილს

ძვირფასო ბატონო ნიკოლოზ პატარქალიშვილო!

გთხოვთ, ხელი შეუწყოთ ქართული დელეგაციის საპასუხო მეგობრული ვიზიტის განხორციელებას დაღესტანში, ფეშენ ფორუმში მონაწილეობისათვის, რომელმაც გვიმასპინძლა 2024 წლის 29 მარტს, თბილისში, პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ფეშენ ფორუმი, გაიმართება კავკასიის კულტურული ტრადიციების ფორმატში, მეზობელ ხალხებთან კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის ხუთიათასწლიანი ისტორიის მქონე უძველეს ქალაქ დერბენტში, ა.წ. 21-22 მაისს.

გვსურს, მადლობა გადავუხადოთ 2024 წლის 29 მარტს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში გამართულ ღონისძიებაში ჩვენი მონაწილეობისათვის, რაც მიზნად ისახავს კავკასიის რესპუბლიკების საერთაშორისო ფესტივალის დაარსებას საქართველოში: „ხალხური სამოსი და ცეკვები, თითოეული ქვეყნის იდენტობის სიმბოლო“, ორგანიზებული ხელოვნებისა და მეცნიერების“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ცეკვის საერთაშორისო საბჭოს“ – ელჩის საქართველოში, ბატონი ნიკოლოზ პატარქალიშვილის მიერ.

ამ ღონისძიებისადმი დიდი ყურადღება გამოიჩინა ქართულმა ტელევიზია „იმედმა“, მათმა გადამღებმა ჯგუფმა, რომელმაც არა ერთი გადაღება განახორციელა შემდგომი გადაცემებისათვის.

ჩვენ განგვაცვიფრა კულტურის, მეცნიერების და სპორტის ღირებულებებისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ.

ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნული ხასიათის საერთაშორისო გაცვლები ხელს შეუწყობს ჩვენს კავკასიის რესპუბლიკებს შორის კულტურული თანამშრომლობის განვითარებასა და მეგობრული კავშირების გაღრმავებას.

პატივისცემით –
მ. გასანოვა,
დაღესტანის რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაცია „დიზაინერთა გილდიის“თავმჯდომარე.

სულთათანა

ჯანიკო დანელია



საქართველოს მხატვართა კავშირმა კიდევ ერთი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, ღირსების ორდენის კავალერი, ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, მხატვარი **ჯანიკო დანელია**. იგი 1949 წელს დაიბადა ქალაქ ფოთში. 1973 წელს დაამთავრა აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი. მისი პედაგოგები იყვნენ: ლ. გრიგოლია, დ. ნოდია, თ. ყუბანეიშვილი. 1973 წლიდან წარმატებით მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საერთაშორისო და რეგიონულ სამხატვრო გამოფენებში.

ჯანიკო დანელიას ძირითადი ნამუშევრები: წიგნის გრაფიკა – კ. გამსახურდია „ნოველები“, მ. ჩახავა „მეგრული ლექსები“, „მეგრული მოთხრობები“, ილუსტრაციები: „მისის ლინკოლნი“, „იმპერატორის მეუღლე ევგენია“, “ქართული ხალხური ზღაპრები“, „გრაფის მეუღლე ტოლსტაია“ და სხვ. მხატვარი დიდი სიყვარულით ქმნიდა მნიშვნელოვან ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს, როგორიცაა: პორტრეტები „მაიკო“, „მწერალი მ. ჩახავა“, „უშანგი“, „ნაირა“, „ოთარი“, „თამუნა“, „ავტოპორტრეტები“, სერიები „ქართული პეიზაჟები“ , „ნატურმორტები“ და სხვ. იგი თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან და ტელერადიოკომპანიებთან, 1976 წლიდან ვ. გუნიას სახელობის დრამატულ თეატრში აფორმებდა სპექტაკლებს.

წლების მანძილზე მხატვარი შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა ქალაქ ფოთის ბავშვთა სამხატვრო სკოლაში.

ბატონი ჯანიკო დანელიას ბიოგრაფია შესულია თანამედროვე ქართველ მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა ბიოგრაფიულ ლექსიკონში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში“. მხატვრის ნამუშევრები დასტამბულია სამხატვრო გამოფენების კატალოგებში, „საქართველოს მხატვართა კავშირის 80 წლისთავისადმი“ მიძღვნილ წიგნში, წიგნ-ალბომში „ქართველი მხატვრები 2014-15 წწ.“ და სხვ.

მხატვრის ნამუშევრები დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმების, გალერეების, კულტურის სამინისტროს ფონდებში და საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების კერძო კოლექციებში.

საქართველოს მხატვართა კავშირი, კოლეგები, მისი ხელოვნების თაყვანისმცემლები დიდი მწუხარებით ეთხოვება ნიჭიერ ხელოვანს, კეთილშობილ პიროვნებას ბატონ ჯანიკო დანელიას, რომლის ხსოვნა დიდხან დარჩება მათ გულებში.

საქართველოს მხატვართა კავშირი

24 წელი ცოლის სასტიკი მკვლელობისთვის! სასამართლო პროცესი, რომელსაც მთელი მსოფლიო ელოდა, დასრულდა

ყაზახეთის ყოფილი ეკონომიკის მინისტრის ბიშიმბაევის სასამართლო პროცესი დასრულდა.

44 წლის კაცი მეუღლის, 31 წლის სალტანატ ნუკენოვას განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში იყო ბრალდებული.

ყოფილ ჩინოვნიკს 24 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

მეორე ბრალდებულს, რესტორნის დირექტორს, რომელიც დანაშაულის შეუტყობინებლობაში იყო ბრალდებული, 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

სასამართლო სხდომები პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. სალტანატის ოჯახის მხარდამჭერი აქციები მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში იმართებოდა.

განცხადება საჯარო განხილვის შესახებ

გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა – **ქ. რუსთავში, შპს „სტანდარტის“ ნარჩენი ზეთების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოსა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია.**

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 21 ივნისი, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის.: კოსტავას გამზირი N20).** საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **9 ივლისის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი **N**150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი **N**32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 29 აპრილი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

განცხადება

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიან კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა N10, ბინა 28, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2022 წლის 21 ნოემბერს გარდაცვლილი მოქალაქე გიორგი ცელინსკი (დაბადებული 1958 წლის 05 აგვისტო პ/ნ:61001051040) გარდაცვალების მოწმობა N772270003789) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე ქალაქ ბათუმში, ხიმშიაშვილის ქუჩა N23-ში ბინა N51-ის (ს/კ: 05.24.04.094.01.051.) 1/5 ნაწილის უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა N10 ბინა 28.

- სიმართლის ხმა ერეკლეს ქალაქიდან -

სამშობლოს ვკარგავთ მტრობით, ღალატით!

დღემდე არ მეგულება ისეთი ქართველი, რომელსაც ფასდაუდებელი ქველმოქმედებით იმდენი სიკეთე ჰქონდეს გაკეთებული ქვეყნისა და ხალხისთვის, რამდენიც ბიძინა ივანიშვილს, იმ სიკეთეთა ჩამოთვლაც კი ძალიან შთამბეჭდავია. ასევე, გამაოცა და აღმაფრთოვანა მისმა პატრიოტულმა, საერო, საქვეყნო, სახალხო სულისკვეთებამ, შემართებამ, აზრის, ხედვის დიაპაზონმა, ჭეშმარიტების ქედუხრელმა ღაღადისმა, რომელიც ვიხილე „ქართული ოცნების" სახალხო შეკრებაზე, 29 აპრილს, ისტორიული სეფესიტყვით გამოსვლისას...

ძლევამოსილსა და სიკეთის სიმბოლოს ბიძინა ივანიშვილს

მაოცებს ზოგთა
ზნეც და ...
მორალიც,
რამდენს აცვია
გიჟის
ხალათი ?!..
და... აღსასრულის
ნუთუ,
დრო არი,
სამშობლოს ვკარგავთ –
მტრობით!
ღალატით! ..
რატომ ვერ სწვდება
უფლის
მზე – ყანას ?!..
ნათელმა, ნუთუ
სადღაც
გაგვასწრო ?!..
ასე მგონია –
ერს და...
ქვეყანას,
დღეს, ისე უჭირს,
როგორც –
არასდროს ...
მაოცებს... მიკვირს,
ვის სურს,
ვის ნებავს ?! –
დრო:
წეწვის,
შუღლის,
სულის ბინდისი,
ვის უნდა გაქრეს
მზის ქვეშ
ღირსება,
ვის უნდა გაქრეს
სხივი,-სინდისის ?!..
ჩვენ გვინდა ვიყოთ
ისევ იმ გორის,
წინ, ვინაც გვყავდნენ–
გმირი პაპანი ...
გადავიტანეთ
ბევრი დიდგორი,
ომებით ვზიდეთ –
ქვეყნის ჭაპანი ...
ტახტზე
აროდეს დავსვათ
ჰეროდე,
ჩვენ –
ხალხის ჯვარცმით
როდი
ვერთობით,
უნდა გვწამდეს და...

უნდა
გვჯეროდეს,
რომ... ჯოჯოხეთსაც
დავძლევთ
ერთობით...
დღეს, შენებრ
ქველი,
არვინ მეგულვის,
სურს სიდიადეს
შენი გაცნობა...
ღმერთმა დალოცოს
შენი მზეგული,
შაბაშ – სიტყვაც და ...
შაბაშ – კაცობაც !..
როგორ გვწყურია –
ქვეყნის ნათელი,
ნატრული ველით
იმ დღეს
და ... იმ წამს,
გულში მინთია,
როგორც – სანთელი,
ვინც
მისთვის იწვის
და ... ვინც
დაიწვა !..
ხსნა არის
მხოლოდ,
სიბრძნის საუნჯით,
ქვეყნად მოვიდა
ვინ – მზედ,
ვინ – ქარად,
შენ,
ჩვენთვის მოხველ :
როგორც – ცისკარა,
შენ,
ჩვენთვის მოხველ:
როგორც – წიქარა !...
გინდა გადარჩეს
მუხა
ნამუხლი,
ძაფიც, - მოთმენის,
ქრება... ილია,
შენა ხარ
რწმენის,
ენის,
მამულის,
როგორც –
დავითი,
როგორც –
ილია!..

ფარნა რაინა
თელავიდან.



ტოკიოში ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ღვინის მწარმოებელი 11 საოჯახო მარანი იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გამართულ გამოფენაში „RAW Wine Tokyo" მონაწილეობდა.

გამოფენის „RAW Wine Tokyo" სტუმრები ქართული მარნების: „კასრელი ვაინერი", „იორა", „ნადელები", „გაბრიელის ღვინო", „ექიმის ბიო მარანი", „მანავი ვაინს", „ანდრიას ღვინო", „ველინო", „დორემი", „ბაღდათი ისთეითი და „ანბანი" ღვინოებს გაეცნენ, ასევე მიიღეს ინფორმაცია ქართული ღვინის წარმოების უძველეს ტრადიციებსა და კულტურის შესახებ.

გამოფენაზე „RAW Wine" (The Artisan Wine Fair) მაღალი ხარისხის ბუნებრივი, ორგანული და ბიოდინამიკური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან. გამოფენის ორგანიზატორია ცნობილი ღვინის ექსპერტი საფრანგეთიდან იზაბელ ლეგერონი.

ტოკიოში გამართულ გამოფენას იაპონიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თეიმურაზ ლეჟავა დაესწრო.

აღსანიშნავია, რომ, იაპონია ქართული ღვინის ერთ-ერთი სტრატეგიული საექსპორტო ბაზარია. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, იაპონურ ბაზარზე ქართული ღვინის პირველი მასშტაბური წარდგენა 2014 წელს მოხდა. მას შემდეგ, სახელმწიფოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის კომპანიები მუდმივად მონაწილეობენ პრესტიჟულ საერთაშორისო გამოფენებში **Foodex Japan da Wine and Gourmet Japan**, ტარდება ქართული ღვინის წარდგენა-დეგუსტაციები იაპონიის სხვადასხვა ქალაქში, იაპონელი ღვინის პროფესიონალებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის ეწყობა ღვინის ტურები საქართველოს ყველა რეგიონში.

ქექა-ქუხილს 14 ადამიანი ემსხვერპლა

მუმბაიში ქექა-ქუხილის დროს ბილბორდი ჩამოვარდა, შემთხვევის შედეგად სულ მცირე 14 ადამიანი დაიღუპა და ათობით დაშავდა. ტრაგედიის მიზეზად ძლიერი ქარი და წვიმა დასახელდა. ინციდენტის შემდეგ ათობით ადამიანი ნანგრევების ქვეშ მოექცა, სამაშველო ოპერაციები სამშაბათ დილამდე გაგრძელდა.

ღორის თირკმლიანი ადამიანი გარდაიცვალა

პირველი ადამიანი, რომელსაც გენმოდიფიცირებული ღორის თირკმელი გადაუნერგეს, ოპერაციიდან ორი თვის შემდეგ გარდაიცვალა. 62 წლის რიჩარდ "რიკ" სლეიმანი თირკმლის დაავადებით იტანჯებოდა და დაავადება ბოლო სტადიაში იყო.

მასაჩუსეტსის გენერალური საავადმყოფოს განცხადებით, (MGH), მამაკაცის გარდაცვალება ტრანსპლანტაციის შედეგი არ ყოფილა.

თირკმელბის დაავადების გარდა, სლეიმანს ასევე აწუხებდა დიაბეტი და ჰიპერტენზია.

ღორის ორგანოების ადამიანისთვის ტრანსპლანტაცია აქამდეც უცდიათ, თუმცა ყველა მცდელობა წარუმატებელი იყო. სლეიმანის ოპერაციას კი მეცნიერებმა „ისტორიული ეტაპი" უწოდეს. პაციენტი საავადმყოფოდან ორ კვირაში გაწერეს.

„რიკ სლეიმანი სამუდამოდ განიხილება, როგორც იმედის შუქურა უამრავი პაციენტისთვის. დიდ მადლობას ვუხდით მას ნდობისთვის. მას დიდი დამსახურება აქვს ქსენოტრანსპლანტაციის სფეროს წინსვლაში", – ნათქვამია MGH-ის განცხადებაში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე
თემურ ქორიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა"
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 17 მაისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6804; ევრო - 2.8892;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3593;
100 რუბლი - 2.9266; თურქული ლირა - 0.0832;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5763;
1000 სომხური დრამი - 6.9059

ამინდი 15 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+3,	დღე +22
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე +20
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+7,	დღე +24
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე +23
თბილისი:	ღამე	+7,	დღე +22

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge